ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 119 (19860) ᲙᲕᲘᲠᲐ, 24 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1987 ᲬᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია 1987 წლის 29 ივნისს ქალაქ მოსკოვში.

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ.
ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 20 მაისი.

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება, რომ სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის განსახილველად ნავარაუდევია შეიტანონ შემდეგი საკითხები:

1. სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე.
2. სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.
3. მოქალაქეთა უფლებების შემლახველ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.
4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

ᲝᲯᲐᲮᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲗᲐᲜ

რა იᲬᲘᲓᲐᲕᲡ ᲓᲐ რა ᲐᲠᲐ ᲛᲐᲡ ᲔᲙᲠᲐᲜᲒᲘ

ᲧᲝᲩᲐᲠ კიდევ სატელევიზიო ერის გარიჟრაჟზე ცისფერეკრანიან ყუთს, რომელიც სახლებში გაჩნდა, ხუმრობით „ოჯახის წევრი“ უწოდეს. დღეს კი უტელევიზოროდ მართლაც წარმოუდგენელია ჩვენი ყოფა და დასვენება, ოჯახური ურთიერთობა და სულიერი ცხოვრება. არც ისე დიდი ხანია, რაც ტელევიზორი შეგვიძლია ჩავრთოთ როგორც კი ავდგებით — გადაცემები ხომ ახლა დილის შვიდი საათიდან იწყება. მათი მიზანია განგვაწყოს საქმიანად, ოპტიმისტურად, თან სხვადასხვაგვარი სასარგებლო ინფორმაციაც მოგვაწოდოს.

დღევანდელი ტელევიზია თითქოსდა ორმაგი იმტენსიფიკაციის გზას ადგას. არსებითად გაიზარდა პროგრამების ინფორმაციული შინაარსი, ამაღლდა მათი მიმზიდველობის დონეც. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო საზოგადოებრივი აღმავლობის, საჯაროობის განვითარებისა და სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავების ატმოსფეროში. სატელევიზიო პუბლიცისტიკის არსენალიდან სულ უფრო გაბედულად იდევნება უსულგულობა, ფორმალიზმი, დემაგოგია. სულ უფრო აქტიურად ინერგება ცოცხალი პროპაგანდისტული სიტყვა, დისკუსიურობა, გულთბილი ადამიანური ინტონაცია. ეს იზიდავს ყველა ასაკის ადამიანებს, აახლოებს და აერთიანებს მათ საოჯახო „ცისფერ ეკრანთან“.

ძნელია გადაჭრებითი შევფასოთ ის ინტერესი, რომელსაც იწვევს დღეს მრავალმილიონიან აუდიტორიაში პროგრამა „ვრემია“. როგორ ეხმაურებიან ადამიანები ტელევიზიით ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელების გამოსვლებს, რა ყურადღებით უსმენენ ისინი პოლიტიკურ მამამხილველთა კომენტარებს საშინაო და საერთაშორისო საქმეებზე! ეთერში მთელი რიგი პუბლიცისტური გადაცემების პირდაპირი გასვლის ფაქტი განა არ ადასტურებს პატივისცემას ისმენდეთ, რასაც ფიქრობს და რაც ხურს იცოდეს მაყურებელმა? იგი ტელეფონით მისცემს შეკითხვას სტუდიას და შეუძლია იმედოვნებდეს, რომ ეკრანიდან დაბუბუნებულ, კომპეტენტურ პასუხს მიიღებს. ტელეპუბლიცისტიკის საუკეთესო ნიმუშებში სერიოზული აქტუალური პრობლემების დაყენება შეესაბამება იმას, რომ შინაარსი გასაგები და ემოციური იყოს, რის გამოც ეს პრობლემები ტელემაყურებელთა მთელი არმიის, ფართო საზოგადოებრიობის კუთვნილება და საზრუნავი ხდება.

განსაკუთრებით პოპულარულია ამ ბოლო ხანს ცენტრალური ტელევიზიის პროგრამები ახალგაზრდობისათვის. მათი ასაკობრივი სპეციფიკა განსაზღვრავს გასართობი ელემენტის გადიდებულ ხვედრით წილს. რასაკვირველია, სანახაობითობის გამოდევნებამ არ უნდა დაგვკარგვინოს გადაცემების ადმზრდელობითი მიმართულება. მეტწილ შემთხვევებში ამას აღწევენ. პროგრამები „მსოფლიო და ახალგაზრდობა“, „მე-12 სართული“ თავიანთ საუკეთესო გადაცემებში ცხადყოფენ ახალგაზრდობის წინაშე მდგომი დიდი სოციალური ამოცანების გაგებას, ხელს უწყობენ მაყურებლებში სამშობლოს წინაშე, მისი დიდი ისტორიისა და კულტურის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას, დისპუტის ფორმით ახლანდელი ახალგაზრდული პროგრამები შესაძლებლობას იძლევიან აზრი გამოთქვან იმ ახალგაზრდებმაც, რომლებიც გატაცებული არიან სხვადასხვაგვარი მოდური მიმდინარეობებით, კერძოდ, მუსიკის სფეროში, და რომლებმაც ჯერ კიდევ უნდა მოახდინონ შეგნებული არჩევანი ცხოვრებაში. და კარგია, თუ ასეთი გადაცემები ხდება განხილვის საგანი ოჯახში, ხელს უწყობს მამებსა და შვილებს შორის უკეთეს ურთიერთგაგებას, ერთმანეთისადმი პატივისმცემლურ დამოკიდებულებას. გულახდილი დისკუსიის სულისკვეთება გვიზიდავს კომკავშირული ცხოვრების პრობლემებისადმი მიძღვნილ ახლახან გაჩენილ გადაცემაში „სიტყვას ვითხოვ“ და ციკლში „ვიფიქროთ ერთად“ — „...თექვსმეტწლამდე და უფროსი ასაკისა“ პროგრამის დამატებაში, სადაც, კერძოდ, განხილული იყო ახალი მწვავე საპრობლემო ფილმები ახალგაზრდობის შესახებ.

სამწუხაროდ, ტელევიზია ყოველთვის როდი გვაბარებს მხატვრული კინოპროდუქციით, რომლებიც გათვალისწინებულია მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის. მისი დონე ხშირად ვერ არის მაღალი, რაც განსაკუთრებით გვხვდება თვალში ტელედოკუმენტალისტიკის წარმატებათა ფონზე. საკმარისად არ გამოდის კარგი, ღრმაშინაარსიანი ფილმები ოჯახის, ზნეობრივი ურთიერთობის შესახებაც — ფილმები, რომლებიც ეკრანთან მიიზიდავენ სხვადასხვა ასაკის ადამიანებს.

უკანასკნელ ხანს ტელევიზიამ დაგვასაჩუქრა შეხვედრებით პედაგოგ-ნოვატორებთან ვ. შატალოვთან, ი. ვოლკოვთან, შ. ამონაშვილთან, ე. ილინთან. მოწონაა პედაგოგიური გამოცდილების პროპაგანდა უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა. იგი მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ოჯახური აღზრდის პრობლემებთან, ოჯახის ატმოსფეროსთან და სულიერ ორიენტირებთან. უდავოდ სასარგებლო გადაცემას „მშობელთა დღე — ძაბათი“ გვინდა ვუსურვოთ კომენტარების მეტი სიღრმე, გამომსახველობითი მრავალფეროვნება. ტელეპუბლიცისტის პოზიციის აქტიურობა, შეტევითი ხასიათი შეხამებული უნდა იყოს ტაქტთან და დელიკატურობასთან, როცა საქმე ეხება ისეთ ფაქიზ საგნებს, როგორიცაა, ვთქვათ, ახალგაზრდა ოჯახის პრობლემები ან ბრძოლა ჯანმრთელობისათვის, მავნე ჩვევებთან და ჩვეულებებთან.

ტელევიზიამ დაამტკიცა, რომ შეუძლია იყოს კარგი პედაგოგიც და განმანათლებელიც, პრაქტიკული მრჩეველიც. გადაცემა ტექნიკური შემოქმედების შესახებ „ეს თქვენ შეგიძლიათ“, საუკეთესო სასწავლო პროგრამები, ზოგიერთი მუსიკალური გადაცემა პრობლემური სჯა-ბაასის ელემენტებითაა — განა ყოველივე ეს არ არის დახმარება ოჯახისათვის იმ მეცადინეობაში, რომ შექმნას ჯანსაღი ყოფა, განამტკიცოს თაობათა სულიერი ერთობა, აღზარდოს შვილები პატიოსან, შრომისმოყვარე ადამიანებად, შეგნებულ მოქალაქეებად?

თუ ჩვენი მკითხველების წერილებით ვიმსჯელებთ, მათ „მცირე ეკრანისადმი“ ბევრი სერიოზული პრეტენზია აქვთ. აწუხებთ ბევრი საესტრადო-გასართობი, იუმორისტული პროგრამის, ტელესპექტაკლისა და ფილმის მხატვრული და შოლტპლიკაციური ფილმების მდარე ხარისხი. ჯერ კიდევ აღწევს ეთერში ნაირფერ სამოსში გამოწყვილი ზუსამოსა და ბისი თანამგზავრი — უფერულობა. ამას სწერენ „ᲕᲠᲐᲖᲓᲐᲚ“ გ. ლატუნენკო ყირიმის ოლქიდან, კიეველი რ. ერიომენკო, სხვა მკითხველები. ტელევიზია უფრო მეტად უნდა ზრუნავდეს თავისი პროგრამების ადმზრდელობითი მიმართულებათა.

თავის პრობლემებს სვამს ის გარემოებაც, რომ ახლა ტელევიზია ალაბებებს უანრით მოზაიკურ მუსიკალურ-საინფორმაციო ბლოკს, რომელიც გვიანი საღამოსათვის და შესაბამისად მაყურებელთა გარკვეული შემადგენლობის — ძირითადად ახალგაზრდობისათვის არის გათვალისწინებული. ახალი პროგრამა შეხამებული უნდა იყოს ყოველი ოჯახის დღის რეჟიმთან. საჭიროა სასურველი კალაპოტით წარვმართოთ ბავშვთა დასვენება, რათა ტელეეკრანი იყოს არა მეტოქე, არამედ თანაშემწე ბავშვების სწავლაში, სპორტში, საზოგადოებრივ მუშაობაში, არ ვნებდეს მათ ჯანმრთელობას. ყველაფერი, რასაც ტელევიზიით აჩვენებენ, როდია გათვალისწინებული ბავშვთა თვალისათვის, დოზირება სჭირდება ნორჩთა ნერვულ და ფსიქიკურ დატვირთვას, არ უნდა დავდალოთ ისინი სანახაობებით. ეი რას გვწერს ამ პრობლემით სერიოზულად შეშფოთებული ა. მაკაროვა ქალაქ ივანოვოდან: „ძლივს დავიხსენი უმცროსი ვაჟი ტელევიზორის ტყვეობიდან. სამგაიერად პირობითი რეფლექსი — საღამოს აუცილებლად ტელეგადაცემა — გაუქრა და ბიჭმა ისწავლა ყოფილიყო თავისი დროისა და თავისი სურვილების ბატონ-პატრონი. ახლახან მან მითხრა: „ბავშვობაში ტარანდ გთვლიდი ინსანთან, რომ ჩემი კლასელები ყველანი უყურებდნენ გვიან ტელეფილმებს, შენ კი ამის ნებას არ მაძლევდი. მხოლოდ ახლა მივხვდი, რამდენად სწორი იყავიო!“. მოსაზრებებს მსგავს თემაზე რედაქციის უზიარებს მოსკოველი ო. სოკოლოვა. მოსკოვის ოლქის მცხოვრები, პენსიონერი რ. კაპუსტინა კი დიდად აფასებს ღამის გადაცემას „შუაღამემდე და შუაღამის შემდეგ“: „მან გამაოცა თავისი სიახლით, დემოკრატიზმითა და გულითადობით“.

ტელევიზიამ მთელი თავისი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჩვენს ცხოვრებაში. გადაგვშალა არნახული საინფორმაციო და კულტურული შესაძლებლობანი. მოზარდთა დღევანდელ თაობას „ტელევიზიის თაობას უწოდებენ“. საჭიროა, „მცირე ეკრანისა“ და მისი მრავალმილიონიანი აუდიტორიის ყოველდღიური დიალოგი ხელს უწყობდეს სოციალისტური ოჯახის, ხალხის სულიერი ჯანმრთელობის განმტკიცებას, მოზარდ თაობათა მოქალაქეობრივი და ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებას.

მაშ, ვუსურვოთ „მცირე ეკრანს“ ახალი წარმატებანი, ახალი საინტერესო და გონივრები გადაცემები.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის ბრძოლის პირობებში სრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუშაობის სრულყოფის ღონისძიებათა საკითხი. აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მთავრობამ განახორციელა დიდი ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის სტაბილური, დინამიკური განვითარება, უძრაობის მოვლენების დაძლევა. ამავე დროს სახალხო მეურნეობის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება არ დამთავრებულა. ამ მიზნით განსაზღვრულია ურთიერთდაკავშირებული დარგების კომპლექსების მართვის, მათი საქმიანობის მეთოდების სრულყოფის, ცენტრალური ეკონომიკური სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებანი. მოწონებულია წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აპარატის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესების შესახებ.

განხილა რა მატერიალური წარმოების სფეროს სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობის გარდაქმნის მიმართულებანი, პოლიტბიუროომ მოიწონა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ალმოიფხვრას ნეგატიური მოვლენები და ნაკლოვანებანი სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის ორგანიზაციასა და მეთოდებში, შეიცვალოს სამინისტროებისა და უწყებების როლი და ფუნქციები მეურნეობრიობის იმ ახალ პირობებში, რომლებიც განსაზღვრულია სახელმწიფო საწარმოების (გაერთიანებებისა) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტით. დასახულია წარმოების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების, სამინისტროებისა და უწყებების აპარატის მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნის ამოცანები.

განიხილეს მართვის რესპუბლიკური ორგანოების საქმიანობის სრულყოფის საკითხი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ დასახული ღონისძიებანი ითვალიწინებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების უფლებათა გაფართოებასა და მათი პასუხისმგებლობის გადიდებას ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარებისათვის, იმისათვის, რომ შეიქმნას ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების პირობები, დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მრავალფეროვანი მოთხოვნილებანი. საჭიროდ ცნეს საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოების გათვალისწინებით დაზუსტონ მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების უფლებები.

განხილეს საკითხი, რომ ულინარსკში შეიქმნას მანქანათმშენებლობაში მიკროელექტრონიკისა და ავტომატიზაციის გამოყენების ცენტრი, რათა გაფართოვდეს ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევები, აგრეთვე განვითარდეს აღნიშნულ საშუალებათა წარმოება მომდინარე ხუთწლედსა და მომდევნო პერიოდში.

განხილა რა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობა, პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ ცენტრში და ადგილებზე მნიშვნელოვანი მუშაობა ხორციელდება ცხოვრების ფიზიზელი წესის დამკვიდრებისათვის, ლოთობისადმი შეურიგებლობის ვითარების შექმნისათვის. ეს ხელს უწყობს საზოგადოებაში ზნეობრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებას, შრომის დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. ამავე დროს ეს მუშაობა ყველგან როდი მიმდინარეობს სათანადო სიმტკიცით, შემტევითობითა და თანამიმდევრულობით, მთელ რიგ ადგილებში კი ამ ბოლო დროს იგი არსებითად შესუსტდა. გამოთქვა შეშფოთება იმის გამო, რომ ადგილობრივი ორგანოების წყაროების შედეგად ზოგიერთ რეგიონში ამ ბოლო დროს გავრცელდა არყის ნინ გამოხდა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ უნდა გააქტიურო მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილებათა შესასრულებლად, რომელთა მიზანია ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრა, მიღებულ მას ახალი იმპულსი, სისტემურობა და ქმედითობა, უზრუნველყონ აღმზრდელობითი, ეკონომიკური, სამედიცინო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების უნარიანი შეთანხმება, უფრო აქტიურად განავითარონ მორალობა ცხოვრების ფიზიზელი წესისათვის. დაისახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს ანტიალკოჰოლური პროპაგანდა, ადამიანთა დასვენების ორგანიზაცია, გაკეთდეს მათი ჯანმრთელობა, განვითარდეს ნარკოლოგიური სამსახურების მატერიალური ბაზა და გადიდდეს მათი მუშაობის ეფექტიანობა. ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა გაფართოვდეს სახალხო მოზმარების საქონლის წარმოება, მომსახურების სფერო, შესრულდეს საქონელბრუნვის გეგმა.

პოლიტბიუროომ მოიწონა საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად მყოფ ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ნგუენ ვან ლინთან მ. ს. გორბაჩოვის მოლაპარაკების შედეგები. საუბრების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ცხოვრების სხვადასხვა მხარის გარდაქმნისა და განახლების პროცესებს, რომლებიც საბჭოთა კავშირსა და ვიეტნამში ხორციელდება სკკპ XXVII ყრილობისა და ვიეტნამის კომპარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. დიდი მნიშვნელობა აქვს მიღწეულ მორიგებას იმ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რომელთა მიზანია საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის თანამშრომლობის ეფექტიანობის გადიდება, მისი გადაყვანა ახალ პროგრესულ ფორმებზე. ხელი მოაწერეს შეთანხმებებს თანამშრომლობის კონკრეტულ მიმართულებათა შესახებ. კმაყოფილებით აღინიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის კომპარტიის შეხედულებათა სრული ერთიანობა ორმხრივი ურთიერთობისა და საერთაშორისო ცხოვრების განხილულ საკითხებზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც მტკიცედ იმოქმედებს ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკასთან ერთად აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილმეზობლობის დამკვიდრებისათვის.

განიხილეს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრთან ჟ. შირაკთან მ. ს. გორბაჩოვის, ნ. ი. რიჟკოვის, ე. ა. შევარდნაძის საუბრებისა და მოლაპარაკების შედეგები. აღინიშნა, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობა არ შეესაბამება ორი ქვეყნის მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს, არც მათი ურთიერთინტერესების თვალსაზრისით, არც ევროპისა და მსოფლიოს საქმეებში მათი როლის თვალსაზრისით. დადასტურდა, რომ უნდა განაგრძონ და გაღრმავონ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის პოლიტიკური დიალოგი, გამოთქვა იმედი, რომ საფრანგეთი კონსტრუქციულად მიუდგება საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფას ბირთვული კონფრონტაციის შენელების, ყველა სახეობის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების გზით, უწინარეს ყოვლისა ევროპაში. შესაბამის უწყებებს მიეცათ დავალება საფრანგეთის მხარესთან ერთად განახორციელონ ორმხრივი ურთიერთობის გაკაქტიურებისათვის მოლაპარაკების დროს გამოთქმული იდეებისა და წინადადებების რეალიზაციის ღონისძიებები.

მოისმინეს მ. ს. სოლომენცევის ინფორმაცია საბერძნეთის კომპარტიის XII ყრილობის მუშაობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მონაწილეობის, აგრეთვე საბერძნეთის პრემიერ-მინისტრთან ა. პაპანდრეუსთან მისი საუბრის შესახებ. აღინიშნა, რომ საბერძნეთში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ვიზიტმა ხელი შეუწყო საბჭოთა და ბერძენი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს პ. ნ. დემიჩევის ინფორმაცია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობის შესახებ და ვ. ი. დოლგიხის ინფორმაცია კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოგზაურობის შესახებ, სადაც ისინი მეთაურობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციებს.

მოისმინეს ვ. ა. მედვედევის ინფორმაცია დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობის მუშაობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მონაწილეობის შესახებ.

განიხილეს გ. პ. რაზუმოვსკის ინფორმაცია სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხთა მდგომარეობის ამ თათბირის შედეგებზე, რომელიც 12-13 მაისს გაიმართა ბუქარესტში, და მოიწონეს ამ თათბირზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲐ—ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚ, ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲐᲜ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲔᲑᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲔᲚᲘᲗ

ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐ დიდ როლს ასრულებს ადამიანის ინტერნაციონალურ და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში, აფართოებს პიროვნების გონებრივ ჰორიზონტს, ხვეწს გემოვნებას, ამდიდრებს ფანტაზიას, ხელს უწყობს შრომისადმი პატივისცემის, კოლექტივიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების განმტკიცებას.

მოვიდა დიდი ტურისტული სეზონი. რა სიახლეებს პპირდება იგი ჩამოსულ სტუმრებსა თუ ადგილობრივ მოსახლეობას? უპირველეს ყოვლისა კი საექსკურსიო მომსახურების რა ახალ ფორმებს ვთავაზობთ მათ?

ტრადიციულ მარშრუტებთან ერთად, წლევანდელ ზაფხულში ექსკურსანტებს შეეძლებათ ისეირნონ ძველი თბილისური „კონკით“, განზრახული გვაქვს დედაქალაქის აეროპორტის სატრანზიტო მგზავრების საექსკურსიო მომსახურებაც. არის სხვა სიახლეენიც, რომლებიც უთუოდ დაინტერესებთ ექსკურსანტებს.

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის იუბილესთან დაკავშირებით მსურველთა ვთავაზობთ საგანგებო ექსკურსიას თბილისსა და საგურამოში (მწერლისეული ადგილების გათვალისწინებით), რის შედეგადაც ექსკურსანტები, განსაკუთრებით მოსწავლეები, მრავალ საინტერესო ფაქტსა თუ ღონისძიებას გაეცნობიან.

Ლ. ᲚᲣᲗᲘᲫᲔ,
თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს დირექტორის მოადგილე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: ტურისტები მდინარე გუმისთის ხეობაში.
Ბ. ᲡᲝᲙᲝᲚᲝᲕᲘᲡ ფოტო.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲚᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲫᲘᲔᲑᲐ — ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲞᲘᲠᲗᲐᲜᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲒᲐᲒᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲘ ᲫᲘᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲞᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲣᲤᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲘᲖᲜᲐᲕᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ.
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Თ. ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ. 1987 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲛᲐᲘᲡᲘ.

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება, რომ სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის განსახილველად ნავარაუდევია შეიტანონ შემდეგი საკითხები:

1. სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე.
2. სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.
3. მოქალაქეთა უფლებების შემლახველ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.
4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

**ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛ�პᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲐᲑᲔᲑᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ — ᲐᲓᲒᲝᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛ

მეცნიერული ძიება — პრაქტიკის სამსახურში

(დასასრული)

ამავე დროს აღინიშნა, რომ ჩარჩოშენებლებმა უფრო აქტიურად უნდა გამოიყენონ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნამუშევრები. მეცნიერებისა და პრაქტიკის პარტნიორობა აქ უფრო მიზანმიმართული და პროდუქტიული უნდა იყოს.

სხდომის დროს განიხილეს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ეხება აგროსამრეწველო კომპლექსში მეცნიერთა ნამუშევრების დანერგვას. ერთი მთგანია ახალი, ადგილობრივ პირობებს შეგუებული სამარცვლე-საკვები ჰიბრიდის ტრიტიკალეს შექმნა. აღინიშნა, რომ ამ ახალი ბოტანიკური გვარეობის კულტურული მცენარის შექმნა მცენარეთა გენეტიკისა და სელექციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა. შეჯვარების გზით მოხერხდა ერთ ორგანიზმში გაგვეერთიანებინა ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო მცენარეების — ხორბლისა და ჭვავის მემკვიდრეობითი ფაქტორები და მიგვეღო სრულიად ახალი კულტურა ტრიტიკალე.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ვოსე-1 და ქართლი-2 ჯიშების ამ სამარცვლე-საკვები ჰიბრიდის საცდელმა თესვამ გვიჩვენა მისი დიდი პროდუქტიულობა როგორც სათესი ფართობის ერთეულზე მარცვლეულის მოსავლის, ისე მიღებული მწვანე მასის მოცულობის მიხედვით. ეს შედეგები დამაჯერებლად მოწმობს რესპუბლიკის მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში ტრიტიკალეს აღნიშნული ჯიშების შესაძლო პერსპექტიულობას. ცნობად არის მიღებული, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრასთან და ფოტოსინთეზის ლაბორატორიასთან და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გენეტიკის, სელექციისა და მეთესლეობის კათედრასთან ერთად შეიმუშავა და დაამტკიცა რესპუბლიკის მეურნეობებში ტრიტიკალეს არსებული ჯიშების დანერგვისა და მათი საწარმოო თვისებების შემდგომი სრულყოფის სამუშაოთა 1986-1990 წლების პროგრამა.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე პრობლემები, რომლებიც უნება სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის ეკოლოგიურად წმინდა ნივთიერებების — ფერომონების სინთეზის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განვითარებას, თბილისის აეროპორტის აღჭურვას ავიალაინერების ფრენის მართვის ახალი რეგიონალური ავტომატიზებული კომპლექსით, რომელმაც უნდა გაზარდოს ამიერკავკასიის ფარგლებში საჰაერო ხომალდების ფრენის ეკონომიურობა და უსაფრთხოება.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ნ. ეფუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, გ. დ. მგელაძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ნ. ა. ჭითანავა, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე. (საქინფორმი).

სახაგრომრეწვი: ამოცანებს დრო გვიკარნახებს

საკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით მუშაობის გაუმჯობესების საკითხები, გარდაჭრნის პრობლემები განიხილეს საქართველოს სახაგრომრეწვის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის გ. მგელაძის მოხსენებაში, ორატორთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსს დღეს აქვს მძლავრი პოტენციალი, მაგრამ იგი სრულად არ გამოიყენება. წლითიწლობით საზოგადოებრივი მეურნეობები ვერ ასრულებენ მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმებს. გამონაკლისი არც გასული წელი ყოფილა, როცა მომხმარებელს დააკლდა 124 მილიონ მანეთისაზე მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქცია. დღეისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თითქმის ნახევარი ზარალიანია.

კვლავინდებურად ბევრ გამოუყენებელ რესურსს, ეკონომიკის გამტკიცების შესაძლებლობებს შეიცავს პრაქტიკულად თითოეული დარგი.

კრებაზე დეტალურად გააანალიზეს საქმის ვითარება აგროსამრეწველო კომპლექსის თითოეულ დარგში. სურათი, სამწუხაროდ, ისეთი არ არის, როგორიც გვინდა. ავიღოთ თუნდაც მემანდარინეობა, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. საკმარისია ითქვას, რომ მარტო გასულ ხუთწლედში წარმოებულია გეგმაზე 677 ათასი ტონით ნაკლები მარცვლეული. ეს მძიმე ტვირთად დაადწა რესპუბლიკის ეკონომიკას. მაგრამ ჰექტარზე მოიწიეს 21,6 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, 3,7 ცენტნერი ლობიო, 6,1 ცენტნერი სოია. ეს მეტისმეტად მცირე მაჩვენებლებია, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ბევრმა მეურნეობამ ისიც კი ვერ მოიწია, რაც დათესა. ეს რატომ არის, ითქვა კრებაზე, რომ მარცვლეულის, მზესუმზრისა, სოიის, სხვა კულტურების, წარმოების გეგმების შესრულება წელს დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის ბრძოლას სათავეში უნდა ჩაუდგნენ კომუნისტები, ადგილობრივი პარტიული ორგანოები.

მეტად შეშაფოთებელი მდგომარეობა შეიქმნა მეჩაიეობასა და მევენახეობაში. მიაღწიეს რა ჩაის ფოთლის ჰექტარობრივი მოსავლიანობის ზღვარს, მეჩაიეებს მხედველობიდან გამორჩათ ხარისხობრივი პარამეტრები, რაც მომხმარებელთა სამართლიან პრეტენზიებს იწვევს. ამოცანა ის არის, რომ 1987 წლის აღორძის დროს გავაძლიერით ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი, ამასთან მკაცრად დავიცვათ აგროწესები, და, რაც ყველაზე მთავარია, მივაღწიოთ ამ სეზონში კარდინალურ გარდატეხას დარგში, ქართული ჩაის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას.

ეს ამოცანა ადვილად ვერ ეფასებენ ბაზრიდან. „უკანასკნელი ზარი“. ყველამ, ვინც მიტინგზე გამოვიდა, თავის მომავალზე ილაპარაკა, როგორც რაღაც უკვე დიდი ხნის წინათ გადაწყვეტილზე.

პეტრე გოგოსაშვილი: ჯერ კიდევ პროფორიენტაციის გაკვეთილებზე მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ვიქნები თვითმფრინავიანი მშენებელი. ჩემი მომავალი სამუშაო ადგილია თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა. უკვე დაგუმეგობრდი ჩემი ბრიგადის წევრებს. ისინი მოუთმენლად მელოდნ.

ალექსანდრე კვიტაშვილი: შეავალ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც უკვე სამეცნიერო კონფერენციაზე წავიკითხე რეფერატი ძველი საქართველოს ისტორიის შესახებ. საწერ მაგიდაზე ახლაც დევს პაპაჩემის — აკადემიკოს შოთა მესხიას დაუმთავრებელი შრომები.

ოვდით ჩიქოვანი: ათწლედს ვამთავრებ ჩემს დასთან სალომესთან ერთად, მაგრამ გატაცებები სხვადასხვანაირი გვაქვს. მსურს გავხდე ექიმი და ვუმკურნალო ადამიანებს. სალომე კი მთარგმნელობაზე ოცნებობს. სურვილი ერთი გვაქვს — რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოვუტანოთ ადამიანებს.

ქეთევან ცხადაია: მინდა ღამამაზად შევმოსო ადამიანები. მივდივარ ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში სამუშაოდ. გამოცდილება მაქვს. ჩემს თანაკლასელებს შევუკერე გამოსაშვები კაბები.

ეკ. ჭამიერაშვილი,
საქინფორმის კორ.

ეკონომიკური მიმოხილვა

საქონელბრუნვა: არითმიის მარწუხებში

საკკპ ცენტრალურ კომიტეტში 22 მაისს გამართულ თათბირზე განიხილეს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და მომსახურების სფეროს განვითარების საქმეში, აღნიშნეს, რომ არადამაჯაყოფილებლად სრულდება სახალხო მეურნეობის ამ დარგის განვითარების კომპლექსური პროგრამის დავალებანი. შექმნილი ვითარება იმის შედეგია, რომ პარტიული კომიტეტები, შესაბამისი სამინისტროები და უწყებანი ჯეროვნად ვერ იფასებენ პრობლემის სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნელობას. სწორედ ეს არის საქონელბრუნვის გეგმების, საკასო გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი.

ძველთაგანვე მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთობას განსაზღვრავდა ფორმულა „ფული-საქონელი“. და გასაგებია, რომ თუ არ არის საქონელი, არ არის არც ფული.

დაახლოებით ასეთი მდგომარეობა შეიქმნა ახლა რესპუბლიკაში. რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა იმის მტკიცება, რომ საქონელი საერთოდ არ არის. პირიქით, მაღაზიების დახლები სავსეა საქონლით, მხოლოდ მყიდველები გარკვეული მიზეზების გამო არ ჩქარობენ მის შეძენას.

მიუხედავად ამისა, საქონელბრუნვის გეგმა, აღკოჰოლიანი სასმელების რეალიზაციის ჩაუთვლელად, გასულ თვეში შესრულდა. მაგრამ ამ თვეში ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს აქტიურობა კვლავ შემცირდა. მაისის ოც დღეში საკასო გეგმის შემოსავლის ნაწილის შესრულებას 43 მილიონ მანეთზე მეტი დააკლდა და, თუ ახლავე არ გადაბრუნდეთ სასწრაფო ღონისძიებანი, თვის დამლევისათვის სხვაობა კიდევ უფრო გაიზრდება. რა თქმა უნდა, ამის თავიდან ასაცილებლად ვაჭრობის მუშაკები ყველაფერს იღონებენ, უმრავლეს შემთხვევაში ისარგებლებენ ძველი მეთოდით და თვის ბოლო დღეებში გამოიტანენ გადიდებული მოთხოვნის საქონელს. მხოლოდ ეს არის საკითხავი, როდემდე იქნება ამგვარი, მრავალგზის დაგმობილი მეთოდები ვაჭრობისა და მრეწველობის არათანაბარზომიერი საქმიანობით გამოწვეულ ქრონიკულ უბედურებათა წამალი?

შეშაფოთებელი მდგომარეობა შეიქმნა აოხაზეთის ასს რესპუბლიკაში, თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ფოთში. ზუგდიდში, ახალციხის. ვანის, გორის, მარნეულის, სამტრედიისა და ზოგიერთ სხვა რაიონში. სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე დგას პასუხსაგები ამოცანა: მიაღწიონ არა მარტო მაისის გეგმის შესრულებას, არამედ დაძლიონ კიდევ მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში დაშვებული ჩამორჩენა, როცა საერთო მოცულობის საცალო საქონელბრუნვის გეგმას 120 მილიონი მანეთი დააკლდა. დავალებას თავი ვერ გაართვეს როგორც სახვაჭრობის სისტემამ (მათ შორის სახაგრომრეწვი და ვაჭრობის სამინისტრო), ისე სამომხმარებლო კოოპერაციამაც. ასპინძის, ახალქალაქის, ხმელეთის, ბოგდანოვკის, გეგეჭკორის, მცხეთის, თერჯოლის და სხვა რაიონებში გეგმების შესრულება 90 პროცენტს არ აღემატებოდა.

ამგვარი ვითარება შეიქმნა მუშათა მომარაგების განყოფილებებში, მუშათა მომარაგების სამმართველოებსა და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციაშიც, რომლებსაც სავაჭრო ქსელი აქვთ. სისტემატურად ვერ ასრულებენ საცალო საქონელბრუნვის დავალებებს საქმიდროენერგომშენის მუშათა მომარაგების სამმართველო, საქნავთობისა და „ჭიათურმანგანუმის“ მუშათა მომარაგების განყოფილებანი, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების საგზაო სამმართველო, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, სახაგრომრეწვი, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო და სხვები.

შექმნილ სიტუაციაში მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყრონ მაღალხარისხოვანი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასა და ბაზისთვის მიწოდებას, რადგან საცალო საქონელბრუნვის საგეგმო დავალებათა შესრულება ბევრად სწორედ ამაზეა დამოკიდებული. უნდა გამოიძებნოს აგრეთვე დამატებითი სასაქონლო რესურსები. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 8 მაისის დადგენილებით დაიწესა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, სასაქონლო რესურსების გამონახვისა და ფასიანი მომსახურების დამატებითი დავალებანი. მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესდეს ამ პროგრამის რეალიზაციას და მთლიანად შესრულდეს იგი.

ისევე როგორც ვაჭრობაში, რთული ვითარება შეიქმნა ფასიანი მომსახურების რეალიზაციის სფეროში. პირველ კვარტალში ამ პოზიციის მიხედვით გეგმა შესრულდა 97,8 პროცენტით, ამის შედეგად სახელმწიფოს დააკლდა 3,5 მილიონ მანეთზე მეტი. დავალებები ვერ შეასრულეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, ქალაქებმა ქუთაისმა, გორმა, ჭიათურამ, ახალქალაქის, ბორჯომის, გარდაბანის, დუშეთის, კასპის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს, წალენჯიხისა და ზოგიერთმა სხვა რაიონმა.

გეგმის შეუსრულებლობა ამ სფეროში მნიშვნელოვანწილად აიხსნება საყოფაცხოვრებო მომსახურების დავალებათა ჩაფუშვით. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემა გეგმას ასრულებს, საერთოდ რესპუბლიკაში იგი ვერ სრულდება სხვა სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა ცუდი მუშაობის გამო. მაგალითად, იანვარ-აპრილში საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმა ვერ შეასრულეს სახაგრომრეწვმა, ვაჭრობის სამინისტრომ, ნავთობპროდუქტებთან მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა, საქმთაკარშენმა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამინისტრომ, საქმთავარმონტაჟსპეცმშენმა, მშენებლობის სამინისტრომ, საავტომობილო გზების სამინისტრომ, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ.

არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმებს რუსთავის მეტალურგიულ, ქუთაისის საავტომობილო ქარხნებში, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროიზოლატორი“, დიმიტროვის სახელობის ქარხანაში, ამიერკავკასიის რკინიგზაზე. თბილისის საწარმოო გაერთიანებებში „საქელექტრომანქანასა“ და „ელმავალმშენებელში“, საქართველოს საზღვაო სანაოსნოში საერთოდ არც შესდგომიან მუშა-მოსამსახურეებისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევას. ეს ამუხეადავად იმისა, რომ აქვთ საგეგმო დავალებანი.

პარტიული და საბჭოთა ორგანოები უნდა გაერკვნენ იმაში, რაც ხდება კონკრეტულად თითოეულ საწარმოსა და მის უბნებში. უნდა გაძლიერდეს აგრეთვე კონტროლი დარგებში წესრიგისა და დისციპლინისადმი, გაარტიულდეს სახალხო კონტროლორთა მუშაობა. საიდუმლო ხომ არ არის, რომ ზოგიერთი საწარმოდან ჯერ კიდევ ხვდება სავაჭრო ქსელში აღურიცხავი პროდუქცია.

დღეს ვერაფერს გავხდებით, თუ არ გავაძლიერებთ მომთხოვნელობას კონკრეტული ხელმძღვანელებისადმი: ამიტომ მთელი პასუხისმგებლობა შეიმნილი ვითარებისათვის, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად, თანაბრად ეკისრებათ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. მომმხარებლები ელიან კონკრეტულ ცვლილებებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმას, რომ ბაზარი აიავსოს საქონლით და ვაჭრობა ეფექტიანად ხარისხისა და ასორტიმენტის მომსახურება.

როგორც სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე აღინიშნა, იმაზე, თუ რამდენად მალე მოხდება ეს, ბევრი რამ არის დამოკიდებული. არსებითად ეს არის გარდაქმნის, პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ერთ-ერთი მგრძნობიარე ინდიკატორი. ამ ინდიკატორის ისარმა უნდა გვიჩვენოს — საქმე სწორი მიმართულებით მიდის.

(საქინფორმი).

უკანასკნელი სკოლის ზარი

წეროებო, მაღლა-მაღლა იფრინეთ!

122 თეთრი წერო ააფრინეს ლაჟვარდოვან ცაში მეათეკლასელებმა. უკანასკნელი, როგორც „თორმეტი გედის“ ჯადოსნურ ზღაპარშია, უფრთებოდ მიფრინაედა. მისი დამთავრება ვერ მოასწრეს თბილისს № 53 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა ეფემია ლორიამ, კობა კოპაძემ და გიორგი მეცხიძემ. ისინი მთელ ღამეს აკეთებდნენ ქაღალდის ფრინველებს თავიანთი თანაკლასელებისათვის.

— დაე თქვენი ოცნება ისეთივე ქათქათა იყოს, როგორც თქვენი წეროები, დაე მუდამ დაგაყურებდეთ ულრუბლო ცა, — თქვა კალინინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ე. ძნელაძემ, როცა გახსნა მიტინგი „უკანასკნელი ზარი“.

ყველამ, ვინც მიტინგზე გამოვიდა, თავის მომავალზე ილაპარაკა, როგორც რაღაც უკვე დიდი ხნის წინათ გადაწყვეტილზე.

პეტრე გოგოსაშვილი: ჯერ კიდევ პროფორიენტაციის გაკვეთილებზე მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ვიქნები თვითმფრინავიანი მშენებელი. ჩემი მომავალი სამუშაო ადგილია თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა. უკვე დაგუმეგობრდი ჩემი ბრიგადის წევრებს. ისინი მოუთმენლად მელოდნ.

ალექსანდრე კვიტაშვილი: შეავალ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც უკვე სამეცნიერო კონფერენციაზე წავიკითხე რეფერატი ძველი საქართველოს ისტორიის შესახებ. საწერ მაგიდაზე ახლაც დევს პაპაჩემის — აკადემიკოს შოთა მესხიას დაუმთავრებელი შრომები.

ოვდით ჩიქოვანი: ათწლედს ვამთავრებ ჩემს დასთან სალომესთან ერთად, მაგრამ გატაცებები სხვადასხვანაირი გვაქვს. მსურს გავხდე ექიმი და ვუმკურნალო ადამიანებს. სალომე კი მთარგმნელობაზე ოცნებობს. სურვილი ერთი გვაქვს — რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოვუტანოთ ადამიანებს.

ქეთევან ცხადაია: მინდა ღამამაზად შევმოსო ადამიანები. მივდივარ ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში სამუშაოდ. გამოცდილება მაქვს. ჩემს თანაკლასელებს შევუკერე გამოსაშვები კაბები.

— სკოლაში საოცარი ცვლილებებია, — თქვა დირექტორის მოადგილემ სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში, რესპუბლიკის დამსახურებულმა პედაგოგმა, ომისა და შრომის ვეტერანმა გაბრიელ ნიკოლოზის ძე გაბიტაშვილმა. — აგერ, უკვე ნახევარი საუკუნეა საშუალო სკოლაში ვმუშაობ. ჩვენი ბავშვები არასდროს ყოფილან ასეთი დამოუკიდებლები, ინიციატივიანები, შეუბოჭავნი, მე ვიტყოდი, გაბედულები. რახან შეუძლიათ დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი, მაშასადამე, აქვთ საკუთარი პოზიცია, ეს კი მთავარია.

გაისმის უკანასკნელი ზარის წკრიალი და თვალზე ცრემლი ადგებათ ამ გაბედულ ბავშვებს. ისინი ეთხოვებიან სკოლას. ეს კი ყოველთვის მტკად ძნელია...

23 მაისი ● საკავშირო იუწყება

უკსიქეიჯი
ფაქტები • მოვლენები

ურყევი გადაწყვეტილება

გამოხმაურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პასუხზე

საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეების დიდ ინტერესს იწვევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხი გაზეთ „უნიტას“ რედაქციის კითხვებზე. სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის კომენტარში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირმა კვლავ დამაჯერებლად ცხადყო მტკიცე გადაწყვეტილება განაგრძოს საბჭოთა საზოგადოების განახლებისა და განვითარების გეზი, ითანამშრომლოს ყველა ქვეყანასთან თანამედროვე სამყაროს მწვავე პრობლემების გადასაჭრელად.

რომი. გაზეთი „უნიტა“, განმარტავს რა მ. ს. გორბაჩოვის პასუხს, აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი მარადელდება გარდაქმნის ჭეშმარიტად რევოლუციური პროცესი. საბჭოთა ხელმძღვანელმა, წერს იტალიელ კომუნისტთა ორგანო, საგანგებოდ აღნიშნა, რომ პარტიული მუშაკი, მით უმეტეს, საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბის მუშაკი, წარმატებით ვერ შეასრულებს თავის მოვალეობებს და ნაყოფიერად ვერ იშრომებს, თუ არა აქვს ცხოველი კავშირი მშრომელებთან, მათს ცხოვრებასთან. სოციალისტური საზოგადოება, რომელიც მტკიცედ დაიძრა გარდაქმნისა და დემოკრატიული განახლების გზით, უაღრესად დაინტერესებულია, რომ ყოველ ადამიანს — იქნება იგი მუშა, კოლმეურნე, მეცნიერი თუ შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენელი, — თავისთავადი, ინდივიდუალური და ორიგინალური წვლილი შეჰქონდეს გეგმებისა და გადაწყვეტილებების განხილვაში, მათს განსახორციელებელ ძალისხმევაში.

ნიუ-იორკი. „უნიტას“ კითხვებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პასუხში ნათლად იგრძნობა იმ საბჭოთა საგარეო-პოლიტიკური ინიციატივების ჭეშმარიტი მშვიდობისმყვარეობის სულისკვეთება, რომელთა მიზანია უბრთოვო სამყაროს შექმნა, განაცხადა თვალსაჩინო ამერიკელმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ **ჩარლზ ჰაიდერმა,** რომელიც დამოუკიდებელ კანდიდატად იყრის კენჭს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე 1988 წლის არჩევნებში.

მადრიდი. საბჭოთა ხელმძღვანელობა იღვწის, რათა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის დღესასწაულობის დროს მოსკოვში მოაწყოს არაფორმალური შეხვედრა ფართო სკკ-ბაასისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებიც მთელ კაცობრიობას აწუხებს, და ამ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიოს არა მარტო კომუნისტები, არამედ სხვა პარტიების წარმომადგენლებიც, წერს გაზეთი „დიარიო-16“. ბევრი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე უკვე პოზიტიურად გამოეხმაურა ამ წინადადებას.

ბრიუსელი. პოლიტიკურმა რეალიზმმა უნდა გაიმარჯვოს გაენაარაღების უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებაზე, აღნიშნავს გაზეთი „სუარი“, რომელიც განმარტავს მ. ს. გორბაჩოვის პასუხს. ვერ დავუშვებთ, რომ ახლანდელი შანსი ხელიდან იქნეს გაშვებული. მოსკოვი კვლავ და კვლავ ადასტურებს, რომ იგი ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის მომხრეა.

სოფია. ლენინური მიდგომა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ღრმა და წრფელი ჰუმანიზმი — ასე შეიძლება დავახასიათოთ მ. ს. გორბაჩოვის პასუხი გაზეთ „უნიტას“ კითხვებზე, წერს „ზემედელსკო ზნამე“. ეს პასუხი გამსჭვალულია აქტუალურობით, დამაჯერებლობით, კაცობრიობის მომავლისათვის ზრუნვით. იგი კვლავ ადასტურებს, რომ მსოფლიო საქმეების მიმდინარეობაზე უდიდეს გავლენას ახდენს საბჭოთა საგარეო პოლიტიკა, რომელიც ახლებურ პოლიტიკურ აზროვნებას ემყარება და მიზნად ისახავს უბრთოვო მსოფლიოს შექმნას.

ბონი. „ეს ერთ-ერთი ყველაზე ფასეული ინფორმაციაა, — ამბობდა კონფედერაციის სოციალისტური პარტიის ლიდერი ოსკარ

ფონტენი. — ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს — ბომბი ნიშნავს“. ბევრ ევროპელ ლიდერს, ეს ეხება ბონის ოფიციალურ ადგილებსაც, ეშინოდა, ეშინოდა, ეშინოდა

საქართველოს ტურიზმი: პრობლემები და გადაწყვეტანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თხოვნით გვესაუბრება რესპუბლიკაში ტურიზმისა და ექსკურსიების განვითარების მდგომარეობასა და პერსპექტივებზე 1986-1990 წლებში და 2000 წლამდე პერიოდისათვის ჩვენს ქვეყანაში ტურისტულ-საექსკურსიო საქმის განვითარება-სრულყოფის შესახებ ხალ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

— ეს გადაწყვეტილებანი სამომავლოდ არის გათვალისწინებული, თანაც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით — არც ისე შორეული მომავლისათვის. ამიტომ იმ სამივე უწყებას, რომლებიც ძირითადად მუშაობენ ჩვენში ტურიზმის საკითხებზე, — საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს, „ინტურისტსა“ და „თანამგზავრს“ — იგი თავისი ყოველდღიური მუშაობის პროგრამად მიაჩნიათ.

სანატორიულ-საკურორტო დასვენებასთან ერთად, ტურისტულ-საექსკურსიო საქმე საქართველოში უკვე დიდი ხანია სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, ჯანმრთელობის გაკაჟების და თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების ეფექტური საშუალება გახდა. ძალზე მნიშვნელოვანია, და ეს ნათქვამია კიდეც მიღებულ გადაწყვეტილებებში, რომ ტურიზმი ხელს უწყობს ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განვითარებას და გაღრმავებას, სიმბოლო პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების სულისკვეთებით მმართველობა აღზრდას, მათი კულტურული დონის ამაღლებას.

ჩვენს დღეებში სულ უფრო ცხადდება ტურიზმის ორივე ძირითადი ფუნქციის — შემეცნებითი და გამჯანსაღებელი ფუნქციების როლი, ახლა ჩვენს რესპუბლიკაში, რომელსაც მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა რობერტ ლონგტიმ „ტურისტული სამოთხე“ უწოდა, ყოველწლიურად 220 ათასი უცხოელი და მილიონ 400 ათასზე მეტი საბჭოთა ტურისტი ჩამოდის. მათ განკარგულებაშია ლავრავრიული შავი ზღვის სანაპირო, უღრანი ტყეები და მთები, ბობოჭარი მდინარეები და თვალწარმტაცი ტბები, სამკურნალო წყაროები, კარსტული მღვიმეები და საქვეყნოდ სახელგანთქმული სამთო-სათხილამურო ცენტრები. ყველაფერს ვერ ჩამოთვლით, მე კი დავძენდი: ისტორიისა და კულტურის უნიკალური ძეგლები, მუზეუმები, თეატრები, ძველი და ახალი ქალაქები, ქუჩები და სახალხო მეურნეობის საწარმოები... ამ საექსკურსიო ობიექტებს ყოველწლიურად 14 მილიონამდე უცხოელი, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული თუ ადგილობრივი ექსკურსანტი ათვალიერებს.

ამბობენ, ვალს გადახდა უყვარსო. მართლაც, ჩვენმა ხალხმა ყოველთვის იცოდა კარგი მასპინძლობა და სტუმრადაც ხალისით დადიოდა. ჩვენს დროში რესპუბლიკის ტურისტებს შეუძლიათ ისარგებლონ მოგზაურობათა და ექსკურსიების ბიუროს სამსახურით — დაათვალიერონ საბჭოთა კავშირის 80-ზე მეტი ქალაქი, არა მარტო მოსკოვი, ლენინგრადი, ბალტიისპირეთის, უკრაინისა და ბელორუსიის ქალაქები, სადაც საქართველოს მცხოვრებნი ტრადიციულად ჩადიან ხოლმე, არამედ ურალი და შუა აზია, ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი, კარელია და რუსეთის ევროპული ჩრდილოეთი.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ჩვენში, და არა მარტო საქართველოში, ჯეროვნად არ ფასდებოდა თვითმოქმედი, სპორტული ტურიზმის როლი. ამ საქმეს ცოტანი თუ მისდევდნენ, რომლებიც ცდილობდნენ, რადაც უნდა დასჯოდათ, შეესრულებინათ ნორმატიული მოთხოვნები და გაეფორმებინათ ტურიზმში სპორტული თანრიგების, განსაკუთრებით სსრ კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატისა თუ სპორტის ოსტატის წოდებათა მისანიჭებლად საჭირო მეტისმეტად გართულებული დოკუმენტაცია.

თვითმოქმედი საწყისის როლის შეუფასებლობა იმითაც გამოიხატებოდა, რომ სათანადოდ არ ფასდებოდა ტურისტთა კლუბების, როგორც ორგანიზაციული და მეთოდიკური ცენტრების როლი. ასეთი კლუბი ფუნქციონირებდა მხოლოდ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმსა და რუსთავში.

ამჟამად მდგომარეობა თანდათან სწორდება, ტურიზმის და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს მხარდაჭერით ახალი ტურისტული კლუბები შეიქმნა ჭიათურაში, თელავსა და ვანში. ვანის კლუბის შუშაობის პირველი შედეგები თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რამდენი რამის გაკეთება შეიძლება, როცა საქმეს ენთუზიასტები ჩაუდგებიან სათავეში. რესპუბლიკურ საბჭოს გათვალისწინებული აქვს კვლავაც გაფართოოს ტურისტთა კლუბების ქსელი, და ამ საქმეს ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი.

ჩვენი აზრით, მსხვილ სამრეწველო ცენტრებს, როგორიცაა თბილისი, ქუთაისი თუ რუსთავი, მასობრივი დასასვენებელი ზონები სჭირდება. მათ შექმნას, აღჭურვასა და სტრუქტურულ ფუნქციონირებას წილობრივ საწყისებზე, სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან, სატყეო მეურნეობებთან და მსხვილ ინდუსტრიულ საწარმოებთან ერთად, ხელი უნდა მოჰკიდონ ტურისტულ-საექსკურსიო ორგანიზაციებმა. ამ მხრივ რესპუბლიკაში პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა: ლისის ტბაზე შეიქმნა პარტიზანთა სახელობის ტურისტულ-გამჯანსაღებელი კომპლექსი. ეს მიდამო თბილისელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილია. გადაწყდა აქვე აშენდეს ტურისტული სასტუმრო და კოტეჯები, წყალსაცავი-ზონა და სპალაო ნაგებობანი, შეიქმნას სპორტული მოედნები და ატრაქციონები.

საბჭოთა ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიღება-მომსახურების ძირითად სამუშაოებს საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო ასრულებს. იგი პროფკავშირების სისტემას ეკუთვნის, ბევრ სამინისტროსა და უწყებასთან მჭიდრო კონტაქტშია და ემსახურება არა მარტო საბჭოთა, არამედ უცხოელ მოგზაურებსაც, რომლებიც პროფკავშირის ხაზით ჩამოდიან. უფრო მეტიც: რესპუბლიკური პროფსაბჭოს სისტემაში არსებობს უცხოური ტურიზმის განყოფილება, რომელიც მშრომელთა ჯგუფებს გზავნის საზღვარგარეთ. რესპუბლიკას ექვემდებარებიან: აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ტურიზმისა და ექსკურსიების სოოლქო საბჭოები, 52 სასტუმრო, ბაზა თუ კემპინგი, 32 მოგზაურობათა და ექსკურსიების ბიურო, საკონტროლო-მაშველი სამსახურები, ოთხი ავტობაზა, რვა ტურისტული კლუბი, ოთხი სარემონტო-სამშენებლო უბანი. ამ დარგში 8 ათასზე მეტი კაცი მუშაობს. ამჟამად საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს შეუძლია ერთდროულად მიიღოს და დააბინაოს საკუთარ შენობებში 20 ათასი, ხოლო დაქირავებულში 18 ათასი კაცი.

მასპინძლობაც ღირსეული გვმართებს

ჩვენს რესპუბლიკაზე 70 საკავშირო და 50 ადგილობრივი ტურისტული მარშრუტი გადის. ტურისტებისა და ექსკურსანტებისათვის მომსახურების საერთო მოცულობა (უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე) თითქმის გასამკეცდა და უკვე 1986 წელს 100-მილიონიან მიჯნას მიუახლოვდა, 1990 წელს კი 150 მილიონ მანეთს უნდა მიაღწიოს.

მომდინარე ხუთწლედში ძირითადად დამთავრდება არსებული ტურისტული მეურნეობის რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა, ამასთანავე დაიწყება საოჯახო დასვენებისათვის სეზონური ტურბაზების მშენებლობა ზესხოში (ქვემო სვანეთი), მაიკოფსში, ცაგერში და სხვ. ნავარაუდევია ტურისტული კომპლექსების აგება გაგრასა და ბობოყვათში.

შარშან ზაფხულში ჩაბარდა ბათუმის 640-ადგილიანი მაღლივი ტურისტული სასტუმრო. უახლოეს წლებში მრავალადგილიანი სასტუმროები გაიხსნება ოჩამჩირესა და გუდაუთაში, ტურისტულ დაწესებულებათა მშენებლობის საინტერესო გეგმებია გათვალისწინებული რესპუბლიკის დედაქალაქში.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ ექვსი წლის წინათ შოვის ტურბაზის კოლექტივმა თავისი 50 წლისთავი აღნიშნა. ჩვენს ქვეყანაში, ალბათ, ბევრი არ იქნება ესოდენ სოლიდური სტაჟის მქონე ტურისტული დაწესებულება. ეს ნიშნავს, რომ საქართველო ორგანიზებული საბჭოური ტურიზმის აკვანია. სამწუხაროდ, გასული წლების მანძილზე იგი რესუნდა ითქვას, რომ ტურიზმის არსებული მატერიალური ბაზა ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნებს, და თუ მნიშვნელოვნად არ გავაფართოვეთ, დასახული გეგმები ვერ შესრულდება.

თანამედროვე ტურისტი, მოგზაური, ექსკურსანტი ძალზე მომთხოვნი გახდა (შემინდონ ასეთი „ბრალდება“). მას სურს სასტუმროებში, კემპინგებსა თუ ტურბაზებში საკუთარ ოჯახზე უარესი პირობები არ იყოს. მერედა, რას წარმოადგენენ ეს დაწესებულებანი, რომლებიც შორეულ წლებში აშენდა? თუ გვსურს გავზარდოთ კომფორტი, ზოგი ნაგებობა უნდა დაინგრეს, ზოგი განახლდეს, რასაც გარდაუვალად მოჰყვება ადგილების რიცხვის შემცირება, რაც კაპიტალური მშენებლობით არა მარტო უნდა ავიზღაუროთ, არამედ დაახლოებით ექვსი ათასითაც კი გავზარდოთ მიმდინარე ხუთწლედში. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბავშვებთან ერთად საოჯახო დასვენებაზე მოთხოვნილება ყოველწლიურად მატულობს. ამისთვის კი საჭიროა დამატებითი მომსახურებანი. მაგალითად, საოჯახო საგზურებით დასვენებულთა რიცხვმა 1985 და 1986 წლებში შესაბამისად 48,4 ათასი და 59,6 ათასი შეადგინა. ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურმა საბჭომ ამ მიზნებისათვის 1986 წელს 45 მილიონი მანეთი გამოყო — თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე წინა წელს.

მე მგონია, ტურისტული ნაკადების ძირითადი მიმართულებანი შედარებით სტაბილურად ყალიბდებოდა. ეტყობა ამიტომ და ბუნებრივი თავისებურებების გამო ჩვენი რესპუბლიკა მიმღები მხარე გახდა, ხოლო ჩვენი ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებანი მასპინძლობაზე დასპეციალდნენ. აუცილებლად მოაკლდა ადგილობრივი მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციას, მაგალითად, მიმდინარე წელს ჩვენი მოსახლეობის ხვედრითმა წილმა გაწეული მომსახურების საერთო მოცულობაში მხოლოდ 28 პროცენტი შეადგინა. ეს, რა თქმა უნდა, ძალზე ცოტაა, და ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობა სწორად იქცევა, როცა დიდ აუურადღებას უთმობს ამ დისპროპორციის ლიკვიდაციას.

ეს უწინარეს ყოვლისა კეთდება იმ ადგილების რიცხვის გაზრდის გზით, რომლებიც ოჯახური დასვენებისათვის გამოიყოფა, იქნება ახალი ადგილობრივი მარშრუტები, აგრეთვე მატულობს საგზურების კვოტა, რომლებსაც ცენტრალური საბჭო გამოყოფს სარეალიზაციოდ საკავშირო მარშრუტებზე, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა საქართველოს მოსახლეობაში. საჭიროა აგრეთვე გაიზარდოს ტურისტული მატარებლების, სამდინარო და საზღვაო თბომავლების რიცხვი.

ავტობუსების ნაკლებობის, ზოგჯერ მწვავე ნაკლებობის გამო მხოლოდ ერთი შესამედით კმაყოფილდება მოთხოვნა ავტობუსებით ექსკურსიებზე, ცენტრალური საბჭო კი, დადგენილი წესისამებრ, საბჭოების ავტოპარკს მომსახურების მოცულობის პროპორციულად ავსებს.

აქ გვინდა შევეხოთ ჩვენს რესპუბლიკაში არა მარტო ტურისტული, არამედ საკურორტო მშენებლობის სხვა ასპექტსაც. სწრაფი ტემპით მატულობს ჯანმრთელობის კერების რიცხვი, სულ უფრო რთულდება მათი ექსპლოატაცია.

ცენტრალური მშენებელი ორგანიზაციები დღენიადაგ ეძებენ უკვე არსებულ კომუნიკაციებთან შენობა-ნაგებობის დაკავშირების ხარჯზე მშენებლობის გაიაფების გზებს, ეს კომუნიკაციები კი სულ უფრო ხშირად ვერ უძლებენ დატვირთვას და ამიტომ განახლებას, გაფართოებასა და მოდერნიზაციას მოითხოვენ. ჯანმრთელობის კერებს, ტურისტულ დაწესებულებებსა და საექსკურსიო ობიექტებს აუცილებლად სჭირდება მისასვლელი გზები, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტების, კომუნალური მეურნეობის განვითარება, ერთი სიტყვით, — ინფრასტრუქტურა. ერთი ბეწო საკურორტო გადასახადით აქ ფონს ვერ გაგვაღ.

რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს ის საკითხი, რომ ამ მშენებლობაში სავალდებულო წილობრივი მონაწილეობა მიიღონ დაინტერესებულმა სამინისტროებმა, უწყებებმა და მშენებელმა ორგანიზაციებმა.

როგორც ჩანს, ასეთი პრინციპით უნდა ვიმოქმედოთ: თუ დასასვენებელ დაწესებულებას აშენებ, შეიტანე ლიმიტირებული სახსრები სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის, რეგიონის კეთილმოწყობისათვის.

სრულიად ნათელია, რომ გაცილებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს ტურისტული ინდუსტრიისა და საექსკურსიო საქმის განვითარებაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების და, რალა თქმა უნდა, ტრანსპორტის და ვაჭრობის სამინისტროებისა და საზოგადოებრივი კავების ორგანიზაციების წვლილი.

საქართველო ტურიზმში ბევრი სიახლის თაოსანი იყო. ახლაც, ვეძებთ რა საგეგმო დავალებათა შესრულებისა და შრომელთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების რეზერვებს, ინერგება ახალი და იხვეწება ძველი დასვენების ორგანიზაციის ფორმები.

რესპუბლიკამ ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველმა შექმნა საცხენოსნო ტურისტული მარშრუტები. ამჟამად სამი ასეთი მარშრუტია — აფხაზეთში, ქუთაისსა და თბილისში. ერთი მათგანი (ქუთაის-საირმე-მწვანე კონცხი) 1978 წლიდან საკავშირო მარშრუტად დამტკიცდა. გრძელდება ახალი რეგიონების ათვისება. ტურისტული ბანაკი (ქუთაისის კემპინგის ფილიალი) შეიქმნა შაორის წყალსაცავის ნაპირას. 1987 წელს ლენტეხის ტურბაზის ასეთივე ფილიალი უნდა მოეწყოს ქვემო სვანეთის უნიკალურ კუთხეში (სოფელ ზესხოში), სადაც სამომავლოდ გათვალისწინებულია აშენდეს კაპიტალური ტურბაზა. მთის ჰაჯი და თითქმის მუდმივი თოვლის საფარი იმის საშუალებას იძლევა, რომ ეს ობიექტი სამთო-სათხილამურო მომართულების მთელი წლის დასვენების ცენტრად იქცეს. დამტკიცებულია და 1988 წელს ამოქმედდება ჩვენს ქვეყანაში პირველი სპეციალიზებული საექსკურსიოტურისტული მარშრუტი „საქართველოს მღვიმეებში“, რომელშიც შედის სათაფლიის, ნაკვანგარეთის, ჯარძისა და ახალი ათონის მღვიმეები.

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკური საბჭოს გამგებლობას გადაეცა სათაფლიისა და ზოგიერთი სხვა მღვიმის კომპლექსი, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო გადაიქცა ორგანიზაციად, რომელიც მღვიმეების კეთილმოწყობაზე და ექსკურსიებზე სპეციალიზდება, რაც კარგ პერსპექტივებს უქმნის რესპუბლიკაში საექსკურსიოტურიზმის მასშტაბის გაფართოებას და მისი შინაარსის გამდიდრებას.

იმავე 1988 წელს ტურიზმის პირველ მოყვარულთ მიიღებს ახალი სახოსხო-ტურისტული მარშრუტი რიონზე „ძველი არგონავტების კვალდაკვალ“, რომელიც გალაქტიონისა და ტიციან ტაბიძის სამშობლოში — სოფელ ჭყვიშში იწყება და ფოთში მთავრდება.

ტურისტულ დაწესებულებებში მუშაობენ სპორტული ნაგებობებისა და საცურაო აუზების მშენებლობაზე. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ ტურისტებს ცურვას, ცხენზე ჯდომას, ტენისისა და ნავების მართვას, სამთო და წყლის თხილამურებით სრიალს, კლდეზე ცოცვას და სხვა ამგვარ საქმეს შეასწავლიან, ხალხი ხალისით იმოგზაურებს ასეთი მარშრუტებით.

ჩემი აზრით, ამჟამად ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ტურისტებისათვის მომსახურების ინტენსიფიკაცია. უარგო არ იქნება ზოგან საგზურების ღირებულებაში შევიტანოთ ლიცენზიებით ნადირობა და მეთევზეობა, ასე ვთქვათ, ეგზოტიკურ სახეობათა დასვენება. საგზურების გაძვირებას არ უნდა შევეშინდეთ. საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისა საფუძველს გვაძლევს ვიფარაუდოთ, რომ შედარებით ძვირ საგზურებზეც დიდი მოთხოვნა იქნება. სეზონის მიხედვით დიფერენცირებულად უნდა განვსაზღვროთ საგზურების ფასი: ვთქვათ, ზაფხულში — უფრო ძვირი უნდა იყოს, სეზონებს შუა და ზამთარში — უფრო იაფი. ეტყობა უნდა გადაისინჯოს საგზურების ფასწარმოქმნის წესი. ჩვენს რესპუბლიკაში აღრიცხულია ხუთი ათასამდე ძეგლი, მაგრამ მარშრუტების შემუშავების დროს ყოველი ახალი ობიექტის ჩართვისას წინაადმდეგობას ვაწყდებით ყოველი კაპიკისათვის, ყოველი მანეთისათვის, რომელიც საგზურის ფასს ემატება ამა თუ იმ საექსკურსიო ობიექტების დათვალიერებისათვის.

წლითიწლობით უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა, იზრდება მათი მოთხოვნილებანი, ამ მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება — ადამიანების ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის ზარუნვა ბევრი ჩვენი უწყების, საწარმოსა და ორგანიზაციის, მათ შორის ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულების მოვალეობაა. ამას მოითხოვს ჩვენგან მომსახურების სფეროს, მასობრივი ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი.

ᲖᲐᲜᲘᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲭᲝᲠᲘ...

იქ ეცა და აქ ეცა,
ჯაგებში და ტევრში,
მერე გზები დაკეცა,
გაერია მტევრში.

მტევრში ამოკანკალული
ჰქონდა პირისახე,
ქვა, ლოდი და აგური
დაუშინა სახლებს.

თათხა გზები სავალი,
ქალაქი და დაბა,
ვაიხადა შარვალი,
გადაიცვა კაბა.

გადიარა ვერცეული
სავარცხლით და ქვიჯით,
გადარინა ქერქეული,
გადარია დინჯი.

ენა გაახსნინა
შხამიანი გველის,
გაწყდა მისი სინსილა,
გაწყდა მისი ენა.

მიიტანა ამბავი
შხამთან შეფერილი,
სულ მთლად დაულამბავი,
არ თუ შეკერილი.

საცა კარი შეეღებ,
აღუდგა დაკა-ტაკა,
ქმარს გაპყარა მეუღლე,
მეზობელი დაკლა.

ანგელოსად გვეჩვენა,
თუ გვეჩვენა, შეგვრჩენ...
დაუჯერეს შევრჯერაც,
უბამიც მოსდა შევრჯერ.

მაინც, მაინც ვინ არის,
ასე უფსის მტვერი,
ასე დაუძინარი,
ასე ქვეყნის მტერი?

კაცის პირით ნათქვამი,
არა ერთი, ორი,
მოდის, როგორც მართალი—
ქალბატონი ჭორი.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲥᲢᲘᲜᲘ,
ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲒᲘ

ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲣᲒᲠᲝᲗ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ გერმანიის გაზეთ „საარბრიუკენ ცაიტნერის“ პოლიტიკური რედაქტორი მიხაელ უნგერი საქართველოში მეორედ ჩამოვიდა. მისთვის რესპუბლიკის გაცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიული თვალსაზრისთ.

— თქვენს მხარეში მოგზაურობის დროს ჩემს ბლოკნოტში ბევრი ჩანაწერი დაგროვდა, — ამბობს ბ-ნ უნგერი. — ეს ეხება თბილისისა და თბილისელების ცხოვრებას, რაც ინტერესებს ჩვენს მკითხველებს — თქვენი პარტნიორი ქალაქის საარბრიუკენის მცხოვრებლებს.

გაზეთში ყოველ კვირას ქვეყნდება მასალები საქართველოს ეკონომიკაზე, კულტურაზე, მეცნიერებაზე. თქვენი რესპუბლიკის მეცნიერები, კომპოზიტორები, მხატვრები, მწერლები და მუშები საარის მხარის ხშირი სტუმრები არიან. საქართველოში ახლანდელ მოგზაურობაში მონაწილეობს დაახლოებით ორმოცდაათი ჩემი თანამამულე. ისინი თვალნათლივ დარწმუნდნენ ქართულ სტუმართმოყვარეობაში, სტუმრად იყვნენ რესპუბლიკის მცხოვრებლებთან, დაათვალიერეს საქართველოს ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, ისინი შეიჭიდეს თბილისის საქალაქო საბჭოში.

ყველა, ამ შეხვედრამ დაადასტურა, რომ მშვიდობისა და ურთიერთგაგების საუკეთესო გარანტია სხვადასხვა ქვეყნის ადამიანების პირადი კონტაქტები, მათი თანამშრომლობა ცხოვრების ყველა სფეროში.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲡᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲝ!

უკვდავი სახება

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲗᲕᲘᲡ

1863 ᲬᲚᲘᲡ 10 აპრილს ილია ჭავჭავაძემ ჯვარი დაიწერა საგურამოელი ზვიადი თავადის თადეოზ გურამიშვილის ასულზე ოლღა გურამიშვილზე.

ამ დღიდან ილიას მეუღლე და მისი ნიჭის მაღმერთებელი უშალო თანამონაწილე გახდა სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოდ სახელოვანი ქმრის მიერ განეული ტიტანური შრომის და ბრძოლის ყველა ეტაპისა, თვით 1907 წლის 30 ივნისტოს წინამორის ველზე დატრიალებულ ტრაგედიამდე, როდესაც შუბლგანგმირულ ილიასთან ერთად ავაზაკებმა მასაც მეუბრალელად გაუჩეხეს თავი! მხოლოდ სასწაულებრივად გადარჩენილმა, მაგრამ სულით და ხორცით დასახიჩრებულმა საბრალო ოლღამ კი იცოცხლა, მაგრამ სამინელი ტრაგედიით გულდათუქული თითქმის არც ერთ დღეს მთაწმინდის ძვირფას საფლავს არ მოშორებია! ღრმად მოხუცი და დაღლილი ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა აღესრულა 1927 წლის 27 აპრილს. ბოლოს და ბოლოს, იგი ელირსა, რასაც მთელი ამ ოცი წლის მანძილზე ნატრობდა: საუკუნო განსასვენებელი მან მთაწმინდაზე, თავისი სასიქადულო მეუღლის გვერდით პოვა!..

შემოგვრჩენია საგურამოს სახლის აივანზე ერთად გადაღებული ილიასა და ოლღას შესანიშნავი სურათი. მაინც რომელ წელს ეკუთვნის იგი?

ახლახან გამომცემლობა „მერანმა“ ილიას საიუბილეოდ გამოსცა კალენდარი — ალბომი „ილია ჭავჭავაძე — 1987“ (რედაქტორები — დ. მჭედლური, დ. შუღლიაშვილი; მხატვარი — ც. გაჩეჩილაძე), რომელშიც ივლისის თვის ფურცელზე დაბეჭდილია აღნიშნული სურათი ასეთი წარწერით: „ილია ჭავჭავაძე და მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილი საგურამოში, „ილიაობა“ დღეს 1881 წ.“.

ეს დათარიღება ყოველად გაუმართლებელია: სურათზე საკმაოდ ხანდაზმული ილია და ოლღა არიან წარმოდგენილნი, ხოლო ჩვენ მოგვეპოვება 1880-იან წლებში გადაღებული ილიას და ოლღას სურათები, რომლებთან შედარება გვარწმუნებს, რომ აღნიშნული სურათი უფრო მოგვიანო ხანისაა, ყოველ შემთხვევაში, 1890 წელს ნამდვილად არის გადმოცილებული, ამას აშკარად ხდის ის გარემოებაც, რომ ილია და ოლღა ამ სურათზე გადაღებული არიან საგურამოს იმ ახალი სახლის აივანზე, რომლის მშენებლობა ილიამ 1895 წელს დაასრულა. ასე რომ, წარმოდგენილია, ილიას და ოლღას 1895 წელს აშენებული სახლის აივანზე 1881 წელს გადაღეოოთ ეს სურათი!

მართლაც, 1895 წელს საგურამოში გადაღებულ ცნობილ სურათთან — „ილია უსმენს მესტვირეს“ შედარებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ილიასა და ოლღას აქ წარმოდგენილი სურათი სწორედ 1895 წელს უნდა იყოს გადაღებული.

შემორჩენილია აგრეთვე საგურამოს სახლის აივანზე ამავე პერიოდში (90-იანი წლები) გადაღებული ილიას მეორე სურათიც, ოღონდ, ამჯერად, თავის მეგობრებსა და ახლობლებთან ერთად დასვენების დროს.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔ.



გალა-გამოფენა მოსკოვში

მოსკოვის ცენტრალური მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზებში მოეწყო საქართველოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს მიეძღვნა. აქ წარმოდგენილი იყო 560 მხატვრის 1600 ნამუშევარი — სახვითი ხელოვნებისა და გამოყენებითი ხელოვნების ყველა დარგი — ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, სცენოგრაფია და კინოს მხატვრობა, კერამიკა, ბეჭდურობა, გობელენი, მინის ნაწარმი, ხის მხატვრული დამუშავება, მინანქარი და საიუველირო ნაკეთობა. (გამოფენის ორგანიზატორია მხატვართა კავშირის მდივანი გ. გუნია, ხოლო ექსპოზიციის ავტორი გ. გუნიასთან ერთად არის არქიტექტორი ვ. ორბელაძე).

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები საშუალებას აძლევს მნახველს ჩვენი ხელოვნების განვითარების გზას გაადევნოს თვალი და ნათლად დაინახოს დღევანდელი ხელოვნება. აქ ძირითადად უკანასკნელი ათი წლის მანძილზე შექმნილი ნამუშევრებია. მაგრამ არის თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების ფუძემდებლების ქმნილებებიც — მ. თოიძის, ვ. სიდამონ-ერისთავის, ა. ცინმაყრიძის, დ. კაკაბაძის, ლ. გუდიაშვილის, ქ. მაღალაშვილის, ე. ახვლედიანის, ქ. ქიქოძის, ს. ქობულაძის, ლ. გრიგოლიას, ი. ნიკოლაძის, ნ. კანდელაკის და სულ ცოტა ხნის წინათ საფრანგეთიდან ჩამოტანილი ქართველი მხატვრის ფ. ვარლამიშვილის ნამუშევრები. რამდენიმე ნამუშევრით არის წარმოდგენილი ი. თოიძე, უ. ჯაფარიძე, კ. სანაძე, პ. ბლიოტკინი, თ. ამაკელია, ა. ბაკბუქმელიქოვი, ექსპოზიციის ეს ნაწილი წარმოდგენას გვაძლევს, თუ რას ეფუძნება შემდგომი თაობების შემოქმედებითი ძიება, რა ტრადიციები უდევს საფუძვლად დღევანდელ ხელოვნებას. ექსპოზიციაში ვხედავთ ‘ეგრეთ წოდებულ „ორმოცდაათიანელთა“ და „სამოციანელთა“ მხატვრული ძიებების მრავალფეროვან მაგალითებს. ამავე დროს მკაფიოდ ჩანს, რომ ამ მხატვართა ახლანდელი ნაწარმოებები თანამედროვე ხელოვნებას შეესატყვისება.

ამ თაობის წარმომადგენლებმა, ერთი მხრივ, მიზნად დაისახეს თემატიკური სურათის ამოცანები და დაზგურ სურათში მონუმენტალიზმისადმი სწრაფვა გამოავლინეს. ესენი არიან: კ. მახარაძე, დ. ხახუტაშვილი, გ.თოთობაძე, გ. გელოვანი, რ. თარხან-მოურავი, მეორე მხრივ, ყურადღება გაამახვილეს ფერის ამოცანებზე, კაშკაშა, „სუფთა“ ფერთა დაპირისპირებით სურათის ემოციურ გამომსახველობას აძლიერებენ ე. კალანდაძე, ჯ. ხუნდაძე, ზ. ნიკურაძე, გ. ქუთათელაძე. ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვისადმი დიდ ინტერესს ამჟღავნებს გამოფენაზე წარმოდგენილი ნ. იანქოშვილის, ქ. მემმარიაშვილის, ო. სულავას, თ. სამსონაძის, ა. დილბარიანის, ა. ვარაზის, ლ. ბაიახჩვილის პორტრეტები. საინტერესოა ლანდშაფტური და ქალაქური პეიზაჟი, რომელთა ავტორები არიან რ. ჯავრიშვილი, მ. ხვიტია, ხოლო რ. სტურუას დეკორატიული ხასიათის ტილოზე შრომის ზეიმია ასახული.

მომდევნო თაობა ფართოდ არის წარმოდგენილი. ამ ნაკადის წარმომადგენლებმა ჩვენს ხელოვნებაში მოიტანეს თავიანთი თაობის სულისკვეთება და ძიებანი, ყურადღება გაამახვილქს თემის ტრადიციული ხელოვნებიდან, წინამორბედთა თაობის მიღწევებს ეყრდნობა და თანამედროვე მსოფლიო და საბჭოთა ხელოვნების ახალ მიმართულებებსა და ტენდენციებს ითვალისწინებს. განსაკუთრებით სრულად არის წარმოდგენილი ფერწერა.

მათ შორის უნდა დავასახელოთ ჯ. გვიმრაძე, ა. ჩაგელიშვილი, თ. გაგნიძე, თ. გოკაძე, გ. კანდელაკი, გ. ხუციშვილი, ილ. ფარჯიანი, თ. ცხონდია, ო. კაკაბაძეები, მ. ტოროტაძე, ლ. სეფეიკო, დ. მაისაშვილი, გ. გუგუშვილი, ი. სუთიძე, გ. ბუღაძე, ჯ. კუხალაშვილი, ც. კალანდაძე, მ. იანეული, თ. კაკაბაძე, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ლაღიძე, ქ. მატანელი, ლ. ლასარეიშვილი, თ. ტატანაშვილი, გ. მანჯავიძე, ი. ზაუტაშვილი, ი. ჩიტაძე, დ. სულაკაური და სხვ.

გამოფენის გრაფიკის განყოფილება გარკვეულ სურათს იძლევა ქართული გრაფიკის განვითარებისა და ასახვის ძირითად მიმართულებებზე,

თბილისის კინოფესტივალი: მასპინძლობის მისამართები

XX საკავშირო კინოფესტივალმა, რომლის ეპიცენტრი თბილისშია, გაიფართოვა საზღვრები. კინოდათვალიერების საზეიმო ატმოსფერო, საყვარელ მსახიობებთან, რეჟისორებთან შეხვედრათა სიხარული გაიზიარეს რესპუბლიკის მშრომელებმაც. 22 მაისს ფესტივალის მონაწილენი და სტუმრები შეხვდნენ მცხეთის, გორის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ყვარლის რაიონების მშრომელებს.

— ეს იყო გულითადი შეხვედრების, მზიანი გზებისა და წარუშლელი შთაბეჭდილებების წუთები, — თქვა პოპულარულმა მსახიობმა ელენე საფონოვამ. — ეს იყო გულითადი საუბრები კინოხელოვნებაზე, ადამიანის სულიერ ცხოვრებაში მის როლზე. ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავით, რაოდენ პოპულარულია კინო ხალხში, რა კარგად იცნობენ მას საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები... ...დიდი სამამულო ომის თემა წმიდათაწმიდაა. საბჭოთა კინემატოგრაფი ვერასოდეს ვერ ამოწურავს ამ თემას. იგი ქმნის სამშობლოსათვის თავდადებულ ჩვენი ხალხის სახელოვან შვილთა კინოსახეებს.

და პატივისცემის პირველი სიტყვები სწორედ მათხადი იყო მიმართული. საბჭოთა კინორეჟისორებმა, მსახიობებმა, კინოკრიტიკოსებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამშობლოსათვის დაღუპულთ პატარძეულის შინმოუსვლელთა მეომრიალ თ ა ნ.

XX საკავშირო კინოფესტივალი 1987 — XX — კინოფესტივალი — თბილისი

ფესტივალის მონაწილეებმა და სტუმრებმა ინტერესით დაათვალიერეს ნინოწმინდის მონასტერი, გეეცნენ რაიონში ერთ-ერთი წამყვანი მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივის მუშაობას.

საგარეჯოს კულტურის სახლში რაიონის მშრომელებთან შეხვედრა გადაიქცა საბჭოთა მოგაალეროვნული კინოს დღესასწაულის, საბჭოეთის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ამაღელვებელ დემონსტრაციად.

ამ შეხვედრის ბოლო აკორდი იყო კონცერტი ადგილობრივი მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მონაწილეობით.

...გორი გულღიად და გულთბილად შეეგება კინოფორუმის მონაწილეებს. ქალაქის მშრომელებმა სტუმრებს მოუმზადეს მრავალფეროვანი პროგრამა, რომელმაც საშუალება მისცა მათ შედარებით მოკლე დროში უფრო სტუმრებმა გვირგვინით შეამკეს საბჭოთა კავშირის გმირის, საგარეჯოს რაიონის მკვიდრის გიორგი ბილანიშვილის ძეგლი.

ფესტივალის მონაწილეებმა და სტუმრებმა ინტერესით დაათვალიერეს ნინოწმინდის მონასტერი, გეეცნენ რაიონში ერთ-ერთი წამყვანი მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივის მუშაობას.

საგარეჯოს კულტურის სახლში რაიონის მშრომელებთან შეხვედრა გადაიქცა საბჭოთა მოგაალეროვნული კინოს დღესასწაულის, საბჭოეთის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ამაღელვებელ დემონსტრაციად.

ამ შეხვედრის ბოლო აკორდი იყო კონცერტი ადგილობრივი მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მონაწილეობით.

...გორი გულღიად და გულთბილად შეეგება კინოფორუმის მონაწილეებს. ქალაქის მშრომელებმა სტუმრებს მოუმზადეს მრავალფეროვანი პროგრამა, რომელმაც საშუალება მისცა მათ შედარებით მოკლე დროში უფრო სრულად გასცნობოდნენ ქალაქის ცხოვრებას. სტუმრები იყვნენ ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში, ნახეს საბრძოლო დიდების მუზეუმი, გეეცნენ საწარმოო გაერთიანება „დილის“ კოლექტივის შრომითს მიღწევებს.

ამაღელვებელი იყო შეხვედრა გამოქვაბულ ქალაქ უფლისციხესთან. გორის სამუსიკო სასწავლებლის ქალთა გუნდმა და მუსიკოსთა და ქორეოგრაფთა საზოგადოების ვაჟთა ансამბლმა შეასრულეს ძველი ქართული საგალობლები, ხალხური მელოდიები.

საღამოს კინოთეატრ „გამარჯვებაში“ მოეწყო ქალაქის საზოგადოებრიობის შეხვედრა კინოფესტივალის მონაწილეებთან და სტუმრებთან.

სტუმრებთან ერთად გორში იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ჩერქეზია და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, XX საკავშირო კინოფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ჩხეიძე.

(საკინფორმი).

* * *

სურათზე: კინოფესტივალის მონაწილენი სტუმრად საგარეჯოს რაიონში.

რ. ლაღიძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი, გზა, ტრანსპორტი

საგზაო ნიშანი, რომელზეც გამოსახული არიან ბავშვები, ყველამ მეტლილისათვის ცნობილია. როგორც წესი, მას სკოლების, საბავშვო ბაღების გვერდით დგამენ. აქ პრაქტიკულად არ ხდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები. მაგრამ სხვა ადგილებში? სტატისტიკის მონაცემებით, შარშან რესპუბლიკაში ავარიების შედეგად დაიღუპა 58 და დამავდა 250 თეძვსმეტ წლამდე ასაკის ბავშვი.

იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის თავიდან აცილებისათვის, როგორია მათი ეფექტიანობა, საქინფორმის კორესპონდენტმა ვ. მიროსნიჩენკომ სთხოვა აზრი გაეზიარებინა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს, გენერალ-მაიორ ვ. ი. შადურს.

— უკანასკნელი მონაცემების შარშანდელ მონაცემებთან შედარება მოწმობს, რომ კვლავ იზრდება საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმი. და განსაკუთრებით დიდია ეს მაჩვენებელი სკოლამდელი ასაკის ბავშვებს შორის. რა თქმა უნდა, პატარები მზად არ არიან საგზაო მოძრაობაში მონაწილეობისათვის. მაგრამ, განა ჩვენ, უფროსები, ქუჩაში მათ ყოველთვის სწორ მაგალითს ვაძლევთ? ისინი კი თითქმის ზუსტად იმეორებენ ჩვენს ქცევას.

კარგად არ დგას ბავშვებისათვის საგზაო მოძრაობის წესების სწავლის სქემა სკოლამდელ დაწესებულებებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. არსებობს ამ დისციპლინის 10-საათიანი პროგრამა, მაგრამ, როგორც წესი, მეცადინეობას აქ ფორმალური ხასიათი აქვს.

ახლახან შეავმოწმეთ სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები რესპუბლიკის მრავალ ქალაქსა და რაიონში. შემოწმების დროს გამოირკვა, რომ ბევრგან არა აქვთ პროგრამები, საგზაო მოძრაობის წესების სახელმძღვანელოებიც კი, უმეტეს კლასებში არა აქვთ მიკროფონები გეგმები, რომლებზეც აღნიშნული იქნება სკოლისაკენ მიმავალი ყველაზე უსაფრთხო მარშრუტები. არა აქვთ არც უსაფრთხო მოძრაობის კაბინეტი, არც პრაქტიკული მეცადინეობის გამართვისათვის განკუთვნილი მოედანი, არ ხორციელდება არავითარი სამუშაო მოძრაობის ნორჩ ინსპექტორთა რაზმებში ბავშვების ჩაბმისათვის. ყოველივე ეს მოწმობს სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა ინერტულობას უმნიშვნელოვან ე ს ი პრობლემების გადაჭრაში.

და აი, სწავლებაა, უფრო სწორად არასწავლების, ამგვარი სისტემის მორიგი შედეგები: თბილისში ინდუსტრიალიზაციის ქუჩაზე აკრძალულ ადგილზე გზის გადასვლის დროს მანქანა დაეჯახა № 13 საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეს, რომელიც დაშავდა. ტრაგიკულად დამთავრდა ახლახან მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევება ლილოში და რუსთავის გზატკეცილზე.

— როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ბავშვები უფრო იოლად ითვისებენ მასალას თამაშის ფორმით. ამ შემთხვევაში დიდად დაგვეხმარებოდა ავტოქალაქები.

— სამწუხაროდ, მიღებული ცოდნის „პრაქტიკულად“ განმტკიცების ამ ქმედითს ფორმას ჯერ კიდევ უგულებელყოფენ რესპუბლიკის თითქმის ყველა საშუალო სკოლასა და სკოლამდელ დაწესებულებაში. ზოგან, მართალია, აქვთ, უმარტივესი ტიპის ავტომოედნები. მაგრამ, ეს მოედნები უბრალოდ არსებობენ და ისინი... დაცარიელებულია.

მოვიყვან სიილუსტრაციო მაგალითს. 1973 წელს გადაწყდა დაეწყოთ ავტოქალაქის შენებლობა თბილისში ლისის ტბის კულტურისა და დასვენების პარკში. შეადგინეს მაკეტი, პროექტი, ხარჯთაღრიცხვა, რომლებიც 10 წელიწადს უმძიმოდ იყო. მხოლოდ 1983 წელს, ბოლოს და ბოლოს, აშენდა ავტოქალაქი. მაგრამ, რა? აღმოჩნდა, რომ სათამაშო კომპლექსი არ შეესაბამებოდა თვით უმარტივესი ავტომოედნისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, თუმცა ჰქონდა ავტოქალაქის შექმნის სათანადო ტექნიკური რეკომენდაცია. ახლა მისი გამოყენება ატრაქციონად თუ შეიძლება.

— ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის თავიდან აცილების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროპაგანდა და აგიტაცია: სხვადასხვა ვიქტორინების, კონკურსებისა და სხვა ღონისძიებების გამართვა. რამდენად ეფექტიანად ვიყენებთ მათ?

— შარშან ზაფხულში, მაგალითად, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების პირადმა შემადგენლობამ „დინამოს“ საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან ერთად მოაწყო ნორჩ ველოსიპედისტთა რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსი „უსაფრთხო თვალი“. სახტელევიზიოს პროპაგან დ ი ს რედაქციასთან ერთად კი მათვე შარშან მოაწყვეს სპეციალური ტელეგადაცემა, რომელიც მიეძღვნა ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის პრობლემებს. გასული წლის სექტემბრიდან ვაზეთ „ნორჩ ლენინელში“ რუბრიკით „ჩვენი ავტოდრომი“ ეწყობა საგზაო მოძრაობის წესების კონკურს-ვიქტორინა.

ამავამად დიდი ტირაჟით მზადდება გამოსაცემად თვალსაჩინოების სახელმძღვანელოები ბავშვებისათვის უსაფრთხო მოძრაობის შესახებ: პლაკატები, სამახსოვრო ფანი, ღია ბარათები და ა. შ. მაგრამ ყველა ამ ღონისძიების ეფექტიანობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, რადგან ისინი სისტემად არ ქცეულა, ი შვიათად ეწყობა.

— რა ღონისძიებებს ახორციელებენ სახავტოინსპექციის თანამშრომლები, რათა აღმოფხვრან ფაქტები, როცა ბავშვებს ავტოტრანსპორტი ეჯახება?

— ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის პროფილაქტიკის მოვალეობა დაეკისრა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას. სახელმწიფო ავტოინსპექტორები საბავშვო ბაღების, სკოლების, ტექნიკუმების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ზრდილ სტუმრები არიან, უძღვებიან იქ პრაქტიკულ მეცადინეობებს, უჩვენებენ დიაფილმებს, ეხმარებიან მოძრაობის ნორჩი ინსპექტორებისა და მარეგულირებლების რაზმების სწავლების მოგვარებაში.

მაგრამ ხოტბის საფუძველი ჯერჯერობით არა გვაქვს. რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ აღნიშნა, რომ ყოველივე ის, რასაც აკეთებს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველო, ძალზე ცოტაა. ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკულად არაფერი კეთდება. მაგალითად, მასწავლებელთა შეშფოთების საგანია ის, რომ სკოლებში ჯერ კიდევ არა აქვთ საგზაო მოძრაობის წესების თვალსაჩინო სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე, თუმცა მე-7—მე-8 კლასების სახელმძღვანელოები დიდი ხანია ითარგმნა, რედაქტირებულია და აქვთ განათლების სამინისტროში. მაგრამ დღემდე არ გადაწყვეტილა ამ სახელმძღვანელოთა გამოცემის საკითხი.

ადგილებზე სახალხო განათლების ორგანოებისა და სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების არასაკმარისი ყურადღება ძირითადად აისახა ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმზეც. მაშასადამე, საჭიროა განვაზორციელოთ დაუყოვნებელი და რადიკალური ღონისძიებანი შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამ ორი წლის წინათ მექსიკაში სახალხო თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე მიწვეული იყო ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახალხო თეატრი, სადაც იგი წარმატებით გამოვიდა. სწორედ ამან განაპირობა, რომ თეატრი ამჯერად შეეცალა მიწვეული საერთაშორისო ფესტივალზე.

— მაინც, როგორ მოხდა ყოველივე? — ვეკითხებით სახალხო თეატრის რეჟისორს რენე აბესაძეს შეეცალა გამგზავრების წინ.

— რამდენიმე თვის წინათ საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ შეეცის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებსაც უნდა შეეჩინთ მოყვარულთა თეატრალური კოლექტივი შეეცის საერთაშორისო ფესტივალისთვის. მათ ჩვენს შესახებ ესაუბრნენ მოსკოვში, საკავშირო კულტურის სამინისტროში. დაინტერესებული შეედი სტუმრები ზესტაფონში ჩამოვიდნენ, ნახეს ორი სპექტაკლი: „გამოცდა“ და „ზურიკელა“ („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“). განსაკუთრებით მოეწონათ „ზურიკელა“ და უყოყმანოდ მიგვიწვიეს ფესტივალზე.

როგორც მექსიკის საერთაშორისო ფესტივალზე, ამჯერადაც ჩვენი კონსულტანტია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ანზორ ქუთათელაძე.

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ღრმად ეროვნულმა ნაციათმა, დიდმა ჰუმანიზმმა და ოპტიმისტურმა სულისკვეთებამ განაპირობა ჩვენი წარმატება მექსიკაში. შეეციაშიც ამ რწმენით მიგვაქვს ეს სპექტაკლი.

— მსახიობები?

— სპექტაკლში მონაწილეობენ და ამდენად ფესტივალში მონაწილეობის ბედნიერება წილად ხვდათ ზაზა წაქაძეს, ბადრი ბეგალიშვილს, ნუგზარ შიუკაშვილს, ლეილა მახარაძეს, გივი კახნიაშვილს, ვახტანგ კვინიკაძეს, ელგუჯა ბეჟუაშვილს, ნინო აბესაძეს, ხათუნა ასათიანს.

— დიდ წარმატებას გისურვებთ ყველას!...

— გმადლობთ!

საუბარი ჩაიწერა

მ. სალაძემ.

შვეციაში, ფესტივალზე

ლისის ტბას თუ ეწვევით...

დილაადრიან ავედით ლისის ტბაზე.

— დირექტორი? — დირექტორი ერთ-ორ საათში მოვა, — არც შემოუხედავს, ისე გვიპასუხა ავტოსადგომის მორიგემ.

— თქვენს სადგომზე რამდენი მანქანა ეტევა?

— სამოცი.

— ცოტაა, ალბათ.

— ცოტა რომელია, ზაფხულში უნდა ნახო. სამოცი კი არა, რატომ სამასსამოცი მანქანა არ ამოდის. ავტობუსი არ მუშაობს ნორმალურად, თორემ ასეთი ჯგლეთა არ იქნებოდა. ფეხით ყველა ხომ ვერ ამოვა. საბაგირო გზას არემონტებენ (აქამდე სად იყვნენ?), ავტობუსი კი მხოლოდ დასვენების დღეებში (ისიც კანტი-კუნტად) დადის...

მაგრამ ლისის გზას მაინც ბლომად ჰყავს სტუმრები — აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა კარგი დარია. დღეს მართლაც კარგი ამინდია, ფეხბურთის მოედანი უკვე დაკავებულია. იქით, პარკის სიღრმეში მშდ-ს ნორმატივს აბარებენ დოსაფელები... აგერ, დედა, მამა და ათიოდე წლის ბიჭი. მათ მივაშურეთ, ერთადერთი კითხვა: რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ. ლისის ტბაზე?

დედა: მომწონს... რა მომწონს? ბუნება, სუფთა ჰაერი. არ მომწონს პლაჟი, ცუდი პლაჟია. სანაპირო გაბინძურებულია, გასახდელები — მოუხერხებელი. საშხაპეში შხაპი არ არის.

მამა: ლისის ტბა იცვლება, უკეთესობისკენ იცვლება. მე თუ მკითხავთ, ეს ყველაზე ლამაზი ადგილია თბილისში. მეტი რა გითხრათ. აგერ, ბატონო, ნავები, ველოსიპედები, მაგიდის ჩოგბურთი. პლაჟი კი ნამდვილად არ ვარგა. ტრანსპორტი ცუდად მუშაობს. საბაგიროსთან ისეთი რიგები გვინახავს, უკან გავბრუნებულვართ... ჰო, - სამ ე ლ ი წყლის დეფიციტია.

შვილი: მომწონს კარუსელები, ბევრი კარუსელია. არ მომწონს ხაპაპური, აგერ იმ კიოფში რომ იყიდება.

ხაპაპურები, სხვათა შორის, უფროსებსაც არ მოსწონთ, მაგრამ კიოფში სხვა საშალი არა აქვთ. გინდა თუ არა, როდის გამომცხვარი ხაპაპური უნდა ჭამო. იქვე რესტორანიც არის, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, შიგ ყველა ვერ შედის. კარუსელ-ატრაქციონებს და ნავ-კატარღებს რესტორანიც თუ მიაყოლე, შეიძლება ერთი თვის ხელფასის დადება მოგიხდეს. თვე ერთია და ფული სხვა დღეებშიც სჭირდება კაცს. სიტყვამ მოიტანა და, თბილისელები წელიწადში 80 ათას მანეთს „ტოვებენ“ ლისის ტბაზე. 80 ათასი მანეთი გვარიანი შემოსავალია 70-კაციანი „ოჯახისთვის“, მაგრამ იმდენი არა, სხვის დაუზმარებლად თავი რომ გაიტანო. ხელფასის ფონდის შესაკვსებად და სხვა საჭიროებისთვის ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს ბიუჯეტიდან 40 ათას მანეთამდე გადის. ეკონომისტთა ენაზე ამას დოტაცია ჰქვია.

ლისის ტბა ჯერჯერობით სახელმწიფოს მოვალეა. ისე, ლისის ტბას ჩვენ ვეძახით, თორემ ოფიციალურად „პარტიზანთა სახელობის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“ ეწოდება. კომპლექსმა რამდენიმე წელიწადში სამი „ძიძის“ ხელში გაიარა: საქალაქო საბჭოს აღმასკომი, რესპუბლიკის პროფსაბჭო, 1985 წლის იანვრიდან კი ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო (როგორც ჩანს, ოპტიმალური ვარიანტი გამოინახა). ეს თარიღი ერთხელ კიდევ ფიგურირებს ლისის ტბის „დოსიეში“: 1985 წლის იანვარს „თბილისქალაქპროექტმა“ დაიწყო ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის განაშენიანების გენერალური გეგმის შედგენა. დაიწყო, მაგრამ... დღემდე ვერ დამთავრა. ვერ გეტყვით, რატომ და რა მიზეზით. ის კი ფაქტია, რომ სანამ გენერალური გეგმა არ დამტკიცდება, ლისის ტბა ვერ „გაიზრდება“. სასურველია, რომ „თბილისქალაქპროექტმა“ რაც შეიძლება უმოკლეს დროში დასრულოს ისედაც გაჭიანურებული საქმე.

გენგეგმა არა გვაქვს და ხელფეხშეკრულები ვართო, — შემოგვჩივლა კომპლექსის დირექტორმა. დირექტორთან ერთად კარგა ხანია კაბინეტში ვსხედვართ და შარშანდელ დიალოგს განვაგრძობთ. გიორგი ჯინორიძე შარშან, ზაფხულში გავიცანით. მაშინ ახალი დანიშნული იყო. ამ კაცის საუბარში, ენერგიულაციაში იმდენი ენერგია იგრძნობოდა, იფიქრებდი, თუ მოინდომა მთის გადაბრუნებსო. გიორგი ჯინორიძეს „მთა არ გადაუბრუნებია“, მაგრამ ამ ერთ წელიწადში მისი ხელი უთუოდ დაეტყო ლისის ტბას. ეგ რა არის, კიდევ ბევრი რამ უნდა გაგვეკეთებინაო, და უკვე მერამდენედ ახსენებს იმ „დაკონსერვებულ“ გენგეგმას.

— მაინც, რა გაკეთდა? — გაიხსნა ოთხი ახალი ატრაქციონი, ავტომოედანი, გამქირავებელი პუნქტი, ნავებთან, წყლის ველოსიპედებთა და კატარღებთან შეიკეთა ტბის „ფლოტილია“, მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია ავტოსადგომის გადატანისა და გადიდების თაობაზე (250-მდე მანქანისათვის გათვალისწინებული ავტოსადგომის მშენებლობა დღეიდან დაიწყება და წელსვე უნდა დამთავრდეს). მოწესრიგდა ტერიტორია... მაგრამ ძირითადი საკითხები მაინც მოუგვარებელი დარჩა: ტრანსპორტი, სასმელი წყალი, კვების ობიექტები, პლაჟის, სპორტული მოედნების კეთილმოწყობა. გვაქვს კიდევ ერთი არსებითი მნიშვნელობის შენიშვნა: ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ჯერჯერობით ნაწილობრივ ამართლებს თავის მთავარ დანიშნულებას. რა გვაძლევს ასეთი კატეგორიული დასკვნის უფლებას? კომპლექსში დღემდე არ მოქმედებს თუნდაც ერთი ორგანიზებული ფასიანი გამაჯანსაღებელი ჯგუფი, არც ტურისტები არიან განებივრებული. აქ ცურვის ერთი მეთოდისტია, მაგრამ ცურვას... არავის ასწავლის. რაც შეეხება ფიზკულტურასა და ტურიზმში მეთოდისტებს, აქ ასეთი საშტატო ერთეულები არა აქვთ.

ჭიანურდება წყალსათხილამურო სპორტის სექციის გახსნაც. საამისოდ კატარღა კი შეუძენიათ, მაგრამ საშველი არ დაადგა სასტარტო ბაქნის მოწყობას.

უკვე ვთქვით, პარტიზანთა სახელობის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი დოტაციაზეა, არადა, უკვე გაისად სამეურნეო ანგარიშზე უნდა გადავიდეს. კომპლექსის დირექციას ჯერჯერობით ოპტიმიზმის საფუძველი არა აქვს — ორ-სამ წელს თავის შენახვა უთუოდ გაგვიჭირდებაო. ასეც იქნება, ვიდრე გენერალური გეგმა არ დამტკიცდება და მშენებლობა ფართო ფრონტით არ გაჩაღდება. უწინარეს ყოვლისა, უნდა აიგოს თანამედროვე გამაჯანსაღებელი ცენტრი სავარჯიშო დარბაზებით, სარეკლამიტაციო ოთახებით; საუნით, მკვეთრად უნდა გაიზარდოს ფასიანი მომსახურება. თბილისს და თბილისელებს სჭირდებათ ნამდვილი ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი. საამისოდ ლისის ტბაზე უკეთესი ადგილი, მგონი, არც არსებობს.

ე. ბერიშვილი.

ზ. დათუაშვილის ფოტო.

ყაბალი

XI საერთაშორისო...

მეექვსე ტურით დაიწყო თბილისის ქალთა საჭადრაკო ტურნირის მეორე ნახევარი. წინა შეხვედრის წაგების შემდეგ ხუთაშვილი აბმილოვსკაიასთან პარტიაში მხოლოდ გამარჯვებას ესწრაფოდა. გთამაშდა კარო-კანის დაცვა. თეთრებმა მიიღეს კიდეც გარკვეული უპირატესობა და მალე აბმილოვსკაიას ხარისხის დათმობა მოუხდა, მაგრამ ხუთაშვილმა ვეფარ შეძლო თავისი მცირე მატერიალური უპირატესობის გამოყენება, ორჯერ სვლები განმეორდა და პარტია გადაიდო.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლაგვილავა-არაბამიას შეხვედრას. ორივე ახალგაზრდა მოჭადრაკე დიდი ალმაჯლობით იბრძვის. მათი შეხვედრა მწვავედ მიმდინარეობდა და გადაიდო ლაგვილავას მატერიალური უპირატესობით — ზედმეტი პაიკით. კონფლიქტოვამ, რომელმაც ძალზე უფერულად დაიწყო ტურნირი (ერთი ქულა სამი პარტიიდან), ახლა ხელი გამოიღო, მისმა მეტოქემ ლეშნერმა ნაადრევი აქტიურობა დაიწყო, და ის კი არ გათვალისწინა, რომ საკუთარი მეფე საკმარისად არ იყო დაცული. მოსკოველმა დიდოსტატმა ძლიერი კონტრშეტევით ზედიზედ მეორე მოგება მოიპოვა. პირველი გამარჯვებები იზეიმეს ზაიცევამ ნიუბერგთან და ქასპაროვმა — პეიჩევასთან. კახიანმა ვერ გამოიყენა მთელი თავისი შესაძლებლობები და ყაიმს დასჯერდა ეიქმანთან.

6 ტურის შემდეგ 5 ქულით და 1 გადადებული პარტიით, სადაც ყაიმია მოსალოდნელი, ლიდერობს დიდოსტატი ელენე ახმილოვსკაია. 4 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს ქეთევან არახამიას. 3,5 ქულით ახლა მესამე ადგილზეა კონსტანტინოვა, მაგრამ მას უნდა გაასწოროს ლაგვილავამ. საქმე ის არის, რომ ახალგაზრდა ქუთაისელ ოსტატს 3 ქულა და ორი უკეთეს მდგომარეობაში გადადებული პარტია აქვს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლაგვილავას უშუალო შეხვედრას ახმილოვსკაიასთან (თეთრები), რომელიც დღევანდელ მეშვიდე ტურში გაიმართება.

გუშინ საერთაშორისო ტურნირის მონაწილეები ისვენებდნენ.

გ. გამრეკელი.

გრიგალი დასავლეთ საქართველოში

დღეს აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე კვლავ „ქაშაშებს“ გაზაფხულია მზე, და ძნელი წარმოსადგენია, რომ 22 მაისს ღამით ავტონომიური რესპუბლიკის ხეობებში მძვინვარებდა გრიგალი, რომელსაც კოკისპირული წვიმა მოჰყვა. „ყველგანმავალი „ნივეთიც“ კი გაჭირვებით შეეძელით გაგიკეთო ღამის სოხუმის წყლით დატბორილ ქუჩებში. ვიგზლისპირა მოედანზე ქარმა წააქცია უზარმაზარი ალვის ხე, რომელმაც ელექტროგადამცემი ხაზები დაწყვიტა. გაჩერდა ელექტრატრანსპორტი, გამოირთო ქუჩის განათება.

გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში გრიგალს არ დუუტოვებია არც ერთი ელექტროგადამცემი ხაზის ბოძი, სახლებსა და ფერმებს გლეჯდა სახურავს, ამტვრევდა სათბურებს. სტიქიამ, რომელიც საათ-ნახევარს-ორ საათს მძვინვარებდა, ძლიერ დააზიანა ერთწლოვანი კულტურების ნათესები.

22 მაისს დასავლეთ საქართველოს სანაპირო რაიონებში შეინიშნებოდა ატმოსფერული წნევის ინტენსიური დაქვეითება. ამის შედეგად ამ რაიონში ჩამოწვა ღრმა ციკლონი. მის ცენტრში, ბათუმის რაიონში, წნევამ სალამოსათვის 743 მილიმეტრამდე დაეცა. ასეთი დაბალი წნევა აქ არ აღნიშნულა პიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მთელი პერიოდის მანძილზე.

ციკლონთან იყო დაკავშირებული ცივი ფრონტი, რომლის გავლის დროს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიშვა მძაფრი ქარი. მისი ძალა წამში 20-25 მეტრს შეადგენდა.

ნგრევის მასშტაბის რამდენადმე შემცირებას ბევრად შეუწყო ხელი საქართველოს ამინდის სამსახურის მიერ მიცემულმა გაფრთხილებამ ტორმის შესახებ. ამის შედეგად ბათუმის ნავსადგურში არც ერთი გემი არ დაზიანებულა.

ნგრევა მოხდა წულუკიძის, მახარაძის, აბაშის რაიონებში. კავშირი დასავლეთ საქართველოს ბევრ დაზარალებულ რაიონთან გაწყვეტილია. ზარალის მასშტაბი ზუსტდება.

უახლოეს დღეებში დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. ქარის სიჩქარემ შეიძლება წამში 9-14 მეტრს მიაღწიოს.

(საკინფორმი).

რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის კომენტარი

22 მაისს ციკლონმა ბალკანეთიდან ბალტიკისკენ გადაკვეთა ბულგარეთი, ბალკანეთი, ბალტიკისპირეთი. ციკლონის ცენტრი ბალტიკის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში ინაცვლებს. ციკლონის ფრონტზე ბალტიკისპირეთში ქარი ძლიერ ზეგავლენას ახდენს ზღვის ზედაპირზე. ბალტიკის ზღვაზე ტალღა 6 ბალამდე ძლიერდება. ბალტიკისპირეთში ინტენსიურ ნალექებს ადგილი ექნება.

23 მაისს ციკლონი ბალტიკის ზღვიდან ბელორუსიაზე, ბალტიისპირეთზე, ბელორუსიაზე, ბალტიკისპირეთზე, ბელორუსიაზე, ბალტიკისპირეთზე, ბელორუსიაზე, ბალტიკ